შპს საქაერონავიგაცია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

bakertilly

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10

1. კომპანია და მისი საქმიანობა 10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა 16
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში 17
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი 18
6. ძირითადი საშუალებები 21
7. არამატერიალური აქტივები 22
8. შეზღუდული ფულადი სახსრები 22
9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 25
10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები 25
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 25
12. ნასესხები საშუალებები 25
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 27
14. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით 27
15. პერსონალის ანაზღაურება 27
16. სხვა საოპერაციო ხარჯები 28
17. სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო 28
18. ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო 28
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 28
20. ფინანსური რისკების მართვა 29
21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 32
22. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები 33
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 33
24. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები 34

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქაერონავიგაციის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს “საქაერონავიგაციის” (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც,

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
22 მაისი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ADVISORY • ASSURANCE • TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
22 მაისი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	128,589	134,115
არამატერიალური აქტივები	7	1,510	1,818
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		1,053	-
შეზღუდული ფულადი სახსრები და მათზე დარიცხული პროცენტების სახით გრძელვადიანი მოთხოვნა	8	2,005	2,005
სულ გრძელვადიანი აქტივები		**133,157**	**137,938**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	5,440	4,677
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები	10	33,684	11,274
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	39,403	14,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		**78,527**	**30,880**
სულ აქტივები		**211,684**	**168,818**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		37,263	37,200
გაუნაწილებელი მოგება		165,403	99,166
სულ საკუთარი კაპიტალი		**202,666**	**136,366**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	2,533	17,154
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,533**	**17,154**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	4,379	8,879
მოკლევადიანი სესხები	12	1,127	5,486
მიღებული ავანსები		979	933
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**6,485**	**15,298**
სულ ვალდებულებები		**9,018**	**32,452**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**211,684**	**168,818**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

_____	_____	_____
გოჩა მეზვრიშვილი, გენერალური დირექტორი	ირაკლი ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი	კარინა კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	14	159,043	76,668
პერსონალის ანაზღაურება	15	(52,994)	(46,984)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(23,268)	(19,710)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(16,192)	(15,745)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	17	339	(2,040)
ფინანსური (ზარალი) ნეტო	18	(691)	(1,028)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

_____	_____	_____
გოჩა მეზვრიშვილი, გენერალური დირექტორი	ირაკლი ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი	კარინა კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	131,194	78,284
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(79,927)	(69,777)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**51,267**	**8,507**
გადახდილი პროცენტი	(439)	(1,914)
საპროცენტო შემოსავალი	343	1,407
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**51,171**	**8,000**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(10,542)	(6,052)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(10,542)**	**(6,052)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	17,539
სესხების გადახდა	(15,629)	(36,667)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(15,629)**	**(19,128)**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**25,000**	**(17,180)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,934	38,031
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	(526)	(3,917)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**41,408**	**16,934**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

_____	_____	_____
გოჩა მეზვრიშვილი, გენერალური დირექტორი	ირაკლი ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი	კარინა კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**37,184**	**108,005**	**145,189**
2021 წლის სრული ზარალი	-	(8,839)	**(8,839)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	16	-	**16**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**37,200**	**99,166**	**136,366**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**37,200**	**99,166**	**136,366**
2022 წლის სრული მოგება	-	66,237	**66,237**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	63	-	**63**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**37,263**	**165,403**	**202,666**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

_____	_____	_____
გოჩა მეზვრიშვილი, გენერალური დირექტორი	ირაკლი ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი	კარინა კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	128,589	134,115
არამატერიალური აქტივები	7	1,510	1,818
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		1,053	-
შეზღუდული ფულადი სახსრები და მათზე დარიცხული პროცენტების სახით გრძელვადიანი მოთხოვნა	8	2,005	2,005
სულ გრძელვადიანი აქტივები		133,157	137,938
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	5,440	4,677
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები	10	33,684	11,274
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	39,403	14,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		78,527	30,880
სულ აქტივები		211,684	168,818
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		37,263	37,200
გაუნაწილებელი მოგება		165,403	99,166
სულ საკუთარი კაპიტალი		202,666	136,366
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	2,533	17,154
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,533	17,154
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	4,379	8,879
მოკლევადიანი სესხები	12	1,127	5,486
მიღებული ავანსები		979	933
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,485	15,298
სულ ვალდებულებები		9,018	32,452
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		211,684	168,818

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

გოჩა მეზვრიშვილი, გენერალური დირექტორი	ირაკლი ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი	კარინა კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	14	159,043	76,668
პერსონალის ანაზღაურება	15	(52,994)	(46,984)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(23,268)	(19,710)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(16,192)	(15,745)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	17	339	(2,040)
ფინანსური (ზარალი) ნეტო	18	(691)	(1,028)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

გოჩა მეხვრიშვილი,	ირაკლი ზაქარეიშვილი,	კარინა კაზარიანი,
გენერალური დირექტორი	ფინანსური მენეჯერი	მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	131,194	78,284
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(79,927)	(69,777)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**51,267**	**8,507**
გადახდილი პროცენტი	(439)	(1,914)
საპროცენტო შემოსავალი	343	1,407
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**51,171**	**8,000**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(10,542)	(6,052)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(10,542)**	**(6,052)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	17,539
სესხების გადახდა	(15,629)	(36,667)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(15,629)**	**(19,128)**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**25,000**	**(17,180)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,934	38,031
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	(526)	(3,917)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**41,408**	**16,934**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

გოჩა მეხვრიშვილი,	ირაკლი ზაქარეიშვილი,	კარინა კაზარიანი,
გენერალური დირექტორი	ფინანსური მენეჯერი	მთავარი ბუღალტერი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,184	108,005	145,189
2021 წლის სრული ზარალი	-	(8,839)	(8,839)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	16	-	16
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,200	99,166	136,366
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,200	99,166	136,366
2022 წლის სრული მოგება	-	66,237	66,237
საწესდებო კაპიტალის ზრდა	63	-	63
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,263	165,403	202,666

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 22 მაისს.

გოჩა მეზვრიშვილი,	ირაკლი ზაქარეიშვილი,	კარინა კაზარიანი,
გენერალური დირექტორი	ფინანსური მენეჯერი	მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

1995 წლის 19 დეკემბერს კომპანია დაფუძნდა, როგორც სახელმწიფო კომპანია, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად დარეგისტრირდა 1999 წლის 6 დეკემბერს (სასამართლოს სარეგისტრაციო ნომერი: N714-1327).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი და სანავიგაციო მომსახურება საქართველოს საჰაერო სივრცეში, აგრეთვე, თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და მესტიის აეროპორტებში საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი დაშვებისა და აფრენისას და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

2014 წლის 1 იანვრიდან საქართველო გახდა ევროკონტროლის მეორმოცე წევრი. საქაერონავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაცია (EUROCONTROL) არის მთავრობათაშორისი სამხედრო-სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც, პარტნიორებთან ერთად, ორიენტირებულია ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს 21-ე საუკუნისა და შემდგომი პერიოდებისთვის აუცილებელ საჰაერო მოძრაობის მართვის განხორციელებას.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისის აეროპორტი, 0158, საქართველო.

2022 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 829. (2021: 824).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან") განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად

ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს" (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.4 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.5 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-21 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც

შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.6 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.7 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის

ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	10
მოწყობილობები და აპარატურა	8; 10
საოფისე აღჭურვილობა	5; 8; 10
სატრანსპორტო საშუალებები	9 - 59

2.10 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

2.11 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.13 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაი, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.14 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის, ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2.16 ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.17 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, - რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას, ან წარმოებას, და რაც აღიარებულია რეალური ღირებულებით და რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის (განსაკუთრებული აქტივები) საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი, - კაპიტალიზაცია ხდება როგორც ამ აქტივების ღირებულების ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი, ან მისი შემდგომი თარიღი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კომპანია არ გასწევდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გაიანგარიშება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულებით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ხდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების, შემცირებული ამ სესხით სარგებლობის დროებით ინვესტირებაზე გაწეული საინვესტიციო შემოსავალით, - კაპიტალიზება.

2.18 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.19 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.20 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. Uცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსისის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი და 1 ევრო = 2.8844. (2021 წლის 31 დეკემბერს: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040 ლარი).

2.21 ამონაგების აღიარება.

რეალიზებული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

2.22 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.23 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

სავაჭრო დებიტორების გაუფასურება. კომპანია პერიოდულად აფასებს საეჭვო ვალების გაუფასურების მიდგომებს. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. დეტალები იხილეთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 21-ში.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16. თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;
- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომელის მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი", როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფაისკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო

ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში. აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს

ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა" განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსისი ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში. **ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.

- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით" საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.

- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული კომპანიის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის

ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევსი ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ) ჯერ არ განსაზღვრულა). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია . ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება"-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენიას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავ გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგა-რები	მოწყობი-ლობები და აპარატურა	საოფისე მოწყობი-ლობები	ავტომო-ბილები	დაუმთავრე-ბელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**68,965**	**188,591**	**7,732**	**12,607**	**15,479**	**11,299**	**304,673**
დაგროვილი ცვეთა	(21,227)	(122,032)	(5,780)	(8,488)	(3,480)	-	**(161,007)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**47,738**	**66,559**	**1,952**	**4,119**	**11,999**	**11,299**	**143,666**
შეძენა	195	581	22	496	-	6,730	**8,024**
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	619	1,265	3	-	-	(1,887)	**-**
ცვეთის ტრანსფერი	5	(5)	-	-	-	-	**-**
ჩამოწერა	(148)	(3,201)	(5)	(870)	(123)	(184)	**(4,531)**
გაუფასურების ანარიცხი	-	-	-	-	-	(2,419)	**(2,419)**
გასულების დაგროვილი ცვეთის განულება	19	3,201	5	868	124	-	**4,217**
ცვეთის ხარჯი	(2,711)	(9,859)	(385)	(1,208)	(679)	-	**(14,842)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**45,717**	**58,541**	**1,592**	**3,405**	**11,321**	**13,539**	**134,115**
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**69,631**	**187,236**	**7,752**	**12,233**	**15,356**	**15,958**	**308,166**
დაგროვილი ცვეთა	(23,914)	(128,695)	(6,160)	(8,828)	(4,035)	-	**(171,632)**
გაუფასურების ანარიცხი	-	-	-	-	-	(2,419)	**(2,419)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**45,717**	**58,541**	**1,592**	**3,405**	**11,321**	**13,539**	**134,115**
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**69,631**	**187,236**	**7,752**	**12,233**	**15,356**	**15,958**	**308,166**
დაგროვილი ცვეთა	(23,914)	(128,695)	(6,160)	(8,828)	(4,035)	-	**(171,632)**
გაუფასურების ანარიცხი	-	-	-	-	-	(2,419)	**(2,419)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**45,717**	**58,541**	**1,592**	**3,405**	**11,321**	**13,539**	**134,115**
შეძენა	111	297	271	3,442	212	5,784	**10,117**
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	4,029	11,070	30	3	-	(15,132)	**-**
ცვეთის ტრანსფერი	-	-	-	-	-	-	**-**
ჩამოწერა	(4)	(10,279)	(11)	(190)	(24)	(2,611)	**(13,119)**
გაუფასურების ანარიცხის გაუქმება	-	-	-	-	-	2,419	**2,419**
გასულების დაგროვილი ცვეთის განულება	(4)	(10,279)	(11)	(190)	(24)	-	**(10,508)**
ცვეთის ხარჯი	(2,861)	(10,155)	(360)	(1,499)	(576)	-	**(15,451)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**46,996**	**59,753**	**1,533**	**5,351**	**10,957**	**1,580**	**126,170**
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**73,767**	**188,324**	**8,042**	**15,488**	**15,544**	**3,999**	**305,164**
დაგროვილი ცვეთა	(26,771)	(128,571)	(6,509)	(10,137)	(4,587)	-	**(176,575)**
გაუფასურების ანარიცხი	-	-	-	-	-	-	**-**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**46,996**	**59,753**	**1,533**	**5,351**	**10,957**	**3,999**	**128,589**

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**3,401**	**3,447**	**6,848**
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,929)	(2,590)	**(4,519)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**1,472**	**857**	**2,329**
შეძენა	392	-	**392**
ჩამოწერა	(2)	(14)	**(16)**
გასულების დაგროვილი ამორტიზაციის განულება	2	14	**16**
ამორტიზაცია	(550)	(353)	**(903)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**1,314**	**504**	**1,818**
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**3,791**	**3,433**	**7,224**
დაგროვილი ამორტიზაცია	(2,477)	(2,929)	(5,406)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**1,314**	**504**	**1,818**
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**3,791**	**3,433**	**7,224**
დაგროვილი ამორტიზაცია	(2,477)	(2,929)	**(5,406)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**1,314**	**504**	**1,818**
შეძენა	433	-	**433**
ამორტიზაცია	(423)	(318)	**(741)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**1,324**	**186**	**1,510**
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**4,224**	**3,433**	**7,657**
დაგროვილი ამორტიზაცია	(2,900)	(3,247)	(6,147)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**1,324**	**186**	**1,510**

8. შეზღუდული ფულადი სახსრები

	31.12.2022	31.12.2021
საპენსიო სქემის ფარგლებში შეზღუდული ფულადი სახსრები	2,000	2,000
საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად შეზღუდული ფულადი სახსრები	5	5
სულ შეზღუდული ფულადი სახსრები	**2,005**	**2,005**

2015 წელს კომპანიამ დააარსა საპენსიო სქემა შპს „საქაერონავიგაციის" თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. შპს „საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება, შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საპენსიო სქემის მონაწილეების სოციალური შენატანები, შეიძლება, დავყოთ დამსაქმებლის მხრიდან და დასაქმებულის მხრიდან განხორციელებულ სოციალურ შენატანებად. შენატანების განაკვეთი დამსაქმებლისათვის შეადგენს დასაქმებულის ძირითადი ხელფასის 18%-ს, ხოლო დასაქმებულის მხრიდან - 7%-ს.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის საპენსიო სქემაში მონაწილეობდა შპს „საქაერონავიგაციის" 603 თანამშრომელი (2021: 580). საპენსიო სქემის ფულადი აქტივები მოიცავს ფასიან ქაღალდებსა და მოთხოვნამდე ანაბარზე არსებულ აქტივებს, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მოქმედი კანონმდებლობით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს მოეთხოვება საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალის შექმნა და შენახვა (სქემის არსებობის განმავლობაში) სულ მცირე, 2 მილიონი ლარის

ოდენობით. 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის კაპიტალი შეადგენს 2 მილიონ ლარს, რომელიც განათავსა ბანკში განცალკავებულ ანგარიშზე. ეს საგარანტიო აქტივი წარდგენილია, როგორც გრძელვადიანი, შეზღუდული ფული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება დაიწყო 2017 წლიდან. 2022 წლის განმავლობაში კომპანიისა და პერსონალის შენატანებმა შეადგინა 5,043 (2021: 4,413). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შენატანის დარიცხული ვალდებულებაა 422 ლარი (2021: 368).

2022 წლის კერძო საპენსიო სქემის ფინანსური მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ:

	ნაშთი 31.12. 2021	საპრო-ცენტო შემოსა-ვალი	სოცია-ლური მონაწი-ლეობა	საინვეს-ტიციო მოგება	ტრან-ზაქციი ს ხარჯი	გადატა-ნა	პენსიის გადახ-და	ნაშთი 31.12. 2022
საპენსიო ფონდის აქტივები								
საბანკო ანგარიში	**2,429**	**295**	**-**	**-**	**-**	**(602)**	**-**	**2,122**
ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	2,020	21	-	-	-	(22)	-	**2,019**
მოთხოვნები	409	274	-	-	-	**(580)**	-	**103**
სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	**20,435**	**-**	**5,043**	**2,331**	**(113)**	**-**	**(367)**	**27,329**
ფასიანი ქაღალდები, უზრუნველყოფა	650	-	-	155	-	781	-	**1,586**
ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	4,913	-	4,621	1,080	(7)	(633)	(367)	**9,607**
გრძელვადიანი დეპოზიტები	14,605	-	-	1,096	-	119	-	**15,820**
მოთხოვნები	368	-	422	-	-	(368)	-	**422**
კრედიტორული დავალიანება	(101)	-	-	-	(106)	101	-	**(106)**
სულ აქტივები	**22,864**	**295**	**5,043**	**2,331**	**(113)**	**(602)**	**(367)**	**29,451**
წმინდა აქტივები (კაპიტალი)								
საპენსიო ფონდი	**2,000**	-	-	-	-	-	-	**2,000**
გაუნაწილებელი მოგება	**-**	-	-	-	-	-	-	**-**
სულ წმინდა აქტივები (კაპიტალი)	**2,000**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**2,000**
ვალდებულებები								
ტექნიკური რეზერვები	**20,435**	-	5,043	2,331	(113)	-	(367)	**27,329**
ვალდებულებები	**429**	295	-	-	-	(602)	-	**122**
სულ ვალდებულებები	**20,864**	**295**	**5,043**	**2,331**	**(113)**	**(602)**	**(367)**	**27,451**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**22,864**	**295**	**5,043**	**2,331**	**(113)**	**(602)**	**(367)**	**29,451**

2021 წლის კერძო საპენსიო სქემის ფინანსური მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ:

	ნაშთი 31.12. 2020	საპრო-ცენტო შემოსა-ვალი	სოცია-ლური მონაწი-ლეობა	საინვეს-ტიციო მოგება	ტრან-ზაქციის ხარჯი	გადატა-ნა	პენსიის გადახ-და	ნაშთი 31.12. 2021
საპენსიო ფონდის აქტივები								
საბანკო ანგარიში და საპროცენტო მოთხოვნა	**2,137**	**292**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**2,429**
ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	**2,018**	2	**-**	**-**	**-**	-	**-**	**2,020**
მოთხოვნები	**119**	290	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**409**
სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	**14,784**	**-**	**4,413**	**1,876**	**(108)**	**-**	**(530)**	**20,435**
ფასიანი ქაღალდები, უზრუნველყოფა	**650**	**-**	**-**	65		(65)		**650**
ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	**5,129**	**-**	4,418	622	(7)	(4,719)	(530)	**4,913**
გრძელვადიანი დეპოზიტები	**8,632**	**-**		1,189	**-**	4,784	**-**	**14,605**
მოთხოვნები	**373**	**-**	(5)	**-**	**-**	**-**	**-**	**368**
კრედიტორული დავალინება	**-**	**-**	**-**	**-**	(101)	**-**	**-**	**(101)**
სულ აქტივები	**16,921**	**292**	**4,413**	**1,876**	**(108)**	**-**	**(530)**	**22,864**
წმინდა აქტივები (კაპიტალი)								
საპენსიო ფონდი	**2,001**	**-**	**-**	**-**	**-**	**(1)**	**-**	**2,000**
გაუნაწილებელი მოგება	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
სულ წმინდა აქტივები (კაპიტალი)	**2,001**	**-**	**-**	**-**	**-**	**(1)**	**-**	**2,000**
ვალდებულებები								
ტექნიკური რეზერვები	**14,784**	-	4,413	1,876	(108)	-	(530)	**20,435**
ვალდებულებები	**136**	293	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**429**
სულ ვალდებულებები	**14,920**	**293**	**4,413**	**1,876**	**(108)**	**-**	**(530)**	**20,864**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**16,921**	**293**	**4,413**	**1,876**	**(108)**	**(1)**	**(530)**	**22,864**

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2022	31.12.2021
სათადარიგო ნაწილები	5,356	4,619
სხვა მარაგი	84	58
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**5,440**	**4,677**

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	39,634	15,873
გაუფასურების რეზერვი	(7,273)	(5,587)
წმინდა სავაჭრო დებიტორული დავალიანება	**32,361**	**10,286**
გაცემული ავანსები	712	538
ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	-
წმინდა გაცემული ავანსები	**712**	**538**
საპენსიო სქემიდან მისაღები ფულადი სახსრები	103	409
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	16	22
წინასწარ გადახდილი გადასახადები	492	19
წმინდა სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	**611**	**450**
სულ წმინდა სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები	**33,684**	**11,274**

გაუფასურების რეზერვის (ზრდა) / შემცირება	31.12.2022	31.12.2021
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**5,587**	**4,435**
რეზერვის კორექტირება	1,686	1,152
წლის განმავლობაში რეზერვის გამოყენება	-	-
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,273**	**5,587**

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ეროვნულ ვალუტაში	1,050	4,422
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში (ევრო)	38,343	10,475
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი)	10	32
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**39,403**	**14,929**

12. ნასესხები საშუალებები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხი - თიბისი ბანკი	-	13,431
გრძელვადიანი სესხი - ფინანსთა სამინისტრო	2,533	3,724
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი - თიბისი ბანკი	-	4,116
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი - ფინანსთა სამინისტრო	1,127	1,369
სულ ნასესხები საშუალებები	**3,660**	**22,640**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა სესხის ვალუტაში ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული:					
1-ლი ტრანში	19/02/2009	31/03/2027	24.00%	188	543
მე-2 ტრანში	23/05/2009	30/06/2027	16.76%	878	2,532
მე-3 ტრანში	29/09/2009	30/09/2027	9.54%	203	585
				1,269	**3,660**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა სესხის ვალუტაში ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული:					
1-ლი ტრანში	19/02/2009	31/03/2027	24.00%	211	739
მე-2 ტრანში	23/05/2009	30/06/2027	16.76%	1007	3,530
მე-3 ტრანში	29/09/2009	30/09/2027	9.54%	235	824
თიბისი ბანკის სესხი	10/12/2021	10/12/2024	3.9%+ EURIBOR 6M	5,008	17,547
				6,461	**22,640**

წარდგენილ სასესხო ვალდებულებებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფინანსურ ფულად ნაკადებს შორის ურთიერთკავშირი შემდეგია:

	31.12.2022	**31.12.2021**
ნაშთი 1 იანვარს	22,640	46,824
მიღებული სესხი	-	17,539
საპროცენტო ხარჯი	1,454	2,736
სესხის ძირისა და პროცენტების დაფარვა	(16,068)	(38,581)
გაცვლითი კურსის გავლენა ნაშთებზე	(4,366)	(5,878)
ნაშთი 31 დეკემბერს	**3,660**	**22,640**

კომპანიის სესხები დენომინირებულია ევროებში.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას და არ გაუფორმებია არც ერთი ჰეჯირების შეთანხმება უცხოურ ვალუტაში ვალდებულების ან საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში.

2021 წლის დეკემბერში კომპანიამ სს თიბისი ბანკთან გააფორმა სესხის ხელშეკრულება 7 მილიონ ევროზე, რომლის საფუძველზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე მას ჩაერიცხა 5 მილიონი ევრო. სესხის ხელშეკრულებით კომპანიამ იტვირთა ქვემოთ მოცემული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნების ვალდებულება:

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს EBITDA-ს 300%-ზე მეტი;
- DSCR შენარჩუნებულ უნდა იქნეს მინიმუმ, 1,3 დონეზე, ხოლო Free cash-იდან დათვლილი DSCR – 1,05 დონეზე;
- ICR კოეფიციენტი უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ, 3.0 დონეზე.

გარდა ამისა, კომპანიამ იკისრა გარვეული არაფინანსური კოვენანატების უზრუნველყოფის ვალდებულება, მათ შორის, 2022 წლიდან მოყოლებული გარკვეული კაპიტალური და საინვესტიციო ხარჯების ლიმიტების დაცვა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაშია ნაკისრ ვალდებულებებთან.

2022 წლის აგვისტოში კომპანიამ წინსწრებით დაფარა სს თიბისი ბანკის სესხი. ფინანსთა სამინისტროს სესხს არ აქვს დაწესებული კომპანიისათვის ფინანსური კოეფიციენტებისა და არაფინანსური პირობების შესრულების ვალდებულება.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი ხელფასები	3,222	5,330
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,152	3,545
სხვა კრედიტორული დავალიანება	5	4
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**4,379**	**8,879**

14. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით

	2022	2021
შემოსავალი ტრანზიტულ რეისებზე საჰაერო ნავიგაციის მომსახურების გაწევიდან	127,072	49,193
შემოსავალი დაშვების/აფრენის მომსახურებიდან	31,798	27,284
სხვა შემოსავალი	173	191
სულ შემოსავალი	**159,043**	**76,668**

შემოსავლები დაგენირირებულია მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე, დროის გარკვეულ მომენტში მომსახურებიდან შემოსავლების აღიარებისას.

15. პერსონალის ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	36,116	32,849
დანამატი წელთა ნამსახურებაზე	5,200	4,473
არასახელმწიფო საპენსიო ფონდი (კომპანიის წილი 18%)	4,593	4,016
პრემია	3,854	3,069
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	1,915	1,725
სახელმწიფო საპენსიო ფონდი	674	592
სხვა სარგებელი	642	260
სულ პერსონალის ანაზღაურება	**52,994**	**46,984**

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
რემონტის ხარჯები	6,289	5,937
ევროკონტროლის საწევრო გადასახადი	2,456	2,952
დაზღვევის ხარჯი	2,377	2,011
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	2,218	1,152
სამსახურეობრივი მივლინებები	1,591	396
კომუნალური ხარჯები	1,416	1,362
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	1,309	1,399
სატესტო ფრენები	997	845
რეგულირების ხარჯი	764	742
კომუნიკაციის ხარჯები	680	610
ტექნიკური პერსონალის ტრეინინგი	555	94
ტრანსპორტირების ხარჯები	510	345
ევროკონტროლის ადმინისტრაციული გადასახადი	497	442
მასალების ღირებულება	336	599
აუდიტური მომსახურების ხარჯი	98	71
სხვა ხარჯები	1,175	753
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**23,268**	**19,710**

17. სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო

	2022	2021
დაუმთავრებელი მშენებლობის გაუფასურება	-	(2,419)
შემოსავალი ჯარიმებიდან	263	159
შემოსავალი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან	72	121
სხვა მოგება (ნეტო)	4	99
სულ სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	**339**	**(2,040)**

18. ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	212	1,221
საპროცენტო შემოსავალი (საპენსიო ფონდი)	295	293
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	256	194
საპროცენტო ხარჯი	(1,454)	(2,736)
სულ ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო	**(691)**	**(1,028)**

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ, შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ

ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

20. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	32,361	10,286
შეზღუდული ფულადი სახსრები	2,005	2,005
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	39,403	14,929
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	**73,769**	**27,220**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც, ზოგადად, კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით, საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით, სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალი გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს დებიტორების გვარობიდან

გამომდინარე. ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე, საპროგნოზო და მაკროეკონიმიკული ტენდენციებით, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს, ზოგადად, დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საეჭვო ვალების რეზერვი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ-ნამდე	3 თვემდე ვადაგადა ცილება	3-დან 6 თვემდე ვადაგადა ცილება	6-დან 9 თვემდე ვადაგადა ცილება	9-დან 12 თვემდე ვადაგადა ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	31,642	718	343	881	6,050	**39,634**
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	39,403	-	-	-	-	-	**39,403**
შეზღუდული ფულადი სახსრები	2,005	-	-	-	-	-	**2,005**
სულ ფინანსური აქტივები	**41,408**	**31,642**	**718**	**343**	**881**	**6,050**	**81,042**
გაუფასურების რეზერვი (სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება)	-	(332)	(271)	(238)	(737)	(5,695)	**(7,273)**
ნეტო ფინანსური აქტივები	**41,408**	**31,310**	**447**	**105**	**144**	**355**	**73,769**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ-ნამდე	3 თვემდე ვადაგადა ცილება	3-დან 6 თვემდე ვადაგადა ცილება	6-დან 9 თვემდე ვადაგადა ცილება	9-დან 12 თვემდე ვადაგადა ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	9,253	571	268	194	5,587	**15,873**
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	14,929	-	-	-	-	-	**14,929**
შეზღუდული ფულადი სახსრები	2,005	-	-	-	-	-	**2,005**
სულ ფინანსური აქტივები	**16,934**	**9,253**	**571**	**268**	**194**	**5,587**	**32,807**
გაუფასურების რეზერვი (სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება)	-	-	-	-	-	(5,587)	**(5,587)**
ნეტო ფინანსური აქტივები	**16,934**	**9,253**	**571**	**268**	**194**	**-**	**27,220**

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ, მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

	31 დეკემბერი, 2022 წ.			31 დეკემბერი, 2021 წ.		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	1,066	1,157	(91)	4,854	3,639	1,215
აშშ დოლარი	10	-	10	31	-	31
ევრო	70,704	3,660	67,044	20,540	22,640	(2,100)
სულ	**71,780**	**4,817**		**25,425**	**26,279**	

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2022 წ.		31 დეკემბერი 2021 წ.	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	1	-	3	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(1)	-	(3)	-
ევროს გამყარება 10%-ით	6,704	-	(210)	-
ევროს დასუსტება 10%-ით	(6,704)	-	210	-
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	-	-	-	-
სხვა ვალუტის დასუსტება 10%-ით	-	-	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის, ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის, შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული

თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	**6-დან 12 თვემდე**	**12 თვიდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები	592	589	4,106	-	**5,287**
სავაჭრო კრედიტორები	1,157	-	-	-	**1,157**
სულ	**1,749**	**589**	**4,106**	**-**	**6,444**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	**6-დან 12 თვემდე**	**12 თვიდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები	727	4,811	19,079	776	**25,393**
სავაჭრო კრედიტორები	3,549	-	-	-	**3,549**
სულ	**4,276**	**4,811**	**19,079**	**776**	**28,942**

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. თუ არ ჩავთვლით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხებით განსაზღვრულ შეზღუდვების უზრუნველყოფას, კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანიის სესხების ხელშერკულებით განსაზღვრული კაპიტალის მართვასთან დკავშირებული შეზღუდვების დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 11.

21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

22. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2022	31.12.2021
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	32,361	10,286
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	41,408	16,934
სხვა ფინანსური მოთხოვნები	712	538
სულ ფინანსური აქტივები	**74,481**	**27,758**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,157	3,549
ნასესხები საშუალებები	3,660	22,640
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,817**	**26,189**

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებელობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახლდათ საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში საჰაერო სანავიგაციო მომსახურებას უწევს გარკვეულ მხარეებს, რომელთათვისაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კომპანიას უხდის მომსახურების საფასურს.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნულ პირებთან ოპერაციებისა და სესხისა, არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან, სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებსა და ნაშთებს.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	საქართველოს მთავრობა	**ხელმძღვანელობა**
ოპერაციები:		
საპროცენტო ხარჯი	1,142	-
სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული შეღავათიანი ფრენები	386	-
მოკლევადიანი სარგებელი	-	1,488
კომპანიის შენატანები საპენსიო ფონდში	-	254
ნაშთები:		
მიღებული სესხები	3,660	-

2021 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	საქართველოს მთავრობა	**ხელმძღვანელობა**
ოპერაციები:		
საპროცენტო ხარჯი	976	-
სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული შეღავათიანი ფრენები	769	-
მოკლევადიანი სარგებელი	-	1,275
კომპანიის შენატანები საპენსიო ფონდში	-	226
ნაშთები:		
მიღებული სესხები	5,093	-

24. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 22 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

About Baker Tilly
Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

Contact us
Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge

შპს საქაერონავიგაცია

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის

მმართველობითი ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

bakertilly

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

შპს „საქაერონავიგაციის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს “საქაერონავიგაციის” (შემდგომში, „კომპანია“) ხელმძღვანელობამ მოამზადა მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) და გადმოგვცა იგი ჩვენ 2023 წლის 23 სექტემბერს.

ჩვენ ჩავატარეთ შპს “საქაერონავიგაციის” 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2023 წლის 22 მაისს გავეცით ჩვენი დასკვნა. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხებოდა იმ სხვა ინფორმაციას, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობით ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთანავე, ჩვენი პასუხისმგებლობაა, კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვაში) კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

აუდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ მომხდარი მოვლენების ეფექტს. ამ მოვლენების ეფექტი, რომელიც მოცემულია მმართველობით ანგარიშში (საქმიანობის მიმოხილვაში), არ არის აუდირებული ჩვენ მიერ.

ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

აუდიტორის პასუხისმგებლობის პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობის მეორე პარაგრაფთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით
2023 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

აუდიტორის პასუხისმგებლობის პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობის მეორე პარაგრაფთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით
2023 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

საქაერონავიგაცია

მმართველობითი ანგარიში 2022

ერთად გამოწვევების წინაშე

დოკუმენტი დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს "საქაერონავიგაციის" თანამდებობის პირები, რომლებმაც მოცემული ფორმით დაამტკიცეს წინამდებარე ანგარიში.

თანამდე ბობა	სახელი და გვარი / ხელმოწერა	თარიღი
ფინანსების მართვის საკითხების მენეჯერი	ირაკლი ზაქარეიშვილი	
აღმასრულებელი დირექტორი	გიორგი ედიშერაშვილი	
გენერალური დირექტორი	გოჩა მეზვრიშვილი	

დოკუმენტი დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს "საქაერონავიგაციის" თანამდებობის პირები, რომლებმაც მოცემული ფორმით დაამტკიცეს წინამდებარე ანგარიში.

თანამდე ბობა	სახელი და გვარი / ხელმოწერა	თარიღი
ფინანსების მართვის საკითხების მენეჯერი	ირაკლი ზაქარეიშვილი	
აღმასრულებელი დირექტორი	გიორგი ედიშერაშვილი	
გენერალური დირექტორი	გოჩა მეზვრიშვილი	

სარჩევი

04 ძირითადი მაჩვენებლები

05 საქაერონავიგაციის პროფილი

07 კორპორაციული მართვა

12 საჰაერო მოძრაობა

14 ინოვაცია და განვითარება

30 ხარჯების ეფექტიანობა

33 რისკების მართვა

35 პერსონალი

37 დამსაქმებლის არასახელმწიფო საპენსიო სქემა

39 ფინანსური ანგარიშები

ძირითადი მაჩვენებლები

	საქაერონავიგაცია	ფაქტობრივი მონაცემები				
		2018	2019	2020	2021	2022
სუბსიდიო მოძრაობა	**ინსტრუმენტალური ფრენების რაოდენობა**	**152,192**	**137,887**	**64,530**	**84,921**	**144,612**
	მარშრუტი	**152,192**	**137,887**	**64,530**	**84,921**	**144,612**
	გადასახდელი	150,943	136,482	63,767	84,119	144,193
	გათავისუფლებული	1,249	1,405	763	802	419
	ტერმინალი	**46,928**	**46,239**	**12,651**	**28,318**	**40,144**
	გადასახდელი	46,588	45,886	12,376	27,715	39,937
	გათავისუფლებული	340	353	275	603	207
	ფრენა საათი	**55,028**	**50,017**	**26,349**	**31,838**	**54,362**
	მომსახურების ერთეული (მარშრუტი)	**806,198**	**673,753**	**420,604**	**410,227**	**485,200**
	მომსახურების ერთეული (გადასახდელი)	801,383	668,613	416,553	406,750	482,000
	მომსახურების ერთეული (გათავისუფლებული)	4,815	5,140	4,052	3,478	3,200
	მომსახურების ერთეული (ტერმინალი)	**30,963**	**30,608**	**9,298**	**19,839**	**24,734**
	მომსახურების ერთეული (გადასახდელი)	30,758	30,409	9,124	19,504	24,600
	მომსახურების ერთეული (გათავისუფლებული)	205	198	174	335	134
ერთეულის განაკვეთი	**მარშრუტის ერთეულის განაკვეთი (ლარი)**	**64.21**	**67.62**	**89.57**	**121.67**	**168.03**
	ცვლილება (%)	**4.9%**	**5.3%**	**32.5%**	**35.8%**	**38.1%**
	მარშრუტის ერთეულის განაკვეთი (ევრო)	**21.62**	**22.36**	**27.60**	**32.71**	**46.24**
	ცვლილება (%)	**-6.6%**	**3.4%**	**23.5%**	**18.5%**	**41.4%**
	საქაერონავიგაციის კომპონენტი	97.7%	97.6%	97.8%	97.7%	97.8%
	სამოქალაქო ავიაციის კომპონენტი	2.3%	2.4%	2.2%	2.3%	2.2%
	ტერმინალის ერთეულის განაკვეთი (ლარი)	**1,074**	**1,074**	**1,354**	**1,581**	**1,269**
	ტერმინალის ერთეულის განაკვეთი (ევრო)	**361.54**	**342.45**	**417.34**	**417.34**	**417.34**
	საქაერონავიგაციის კომპონენტი	97.6%	97.6%	97.8%	97.7%	97.8%
	სამოქალაქო ავიაციის კომპონენტი	2.4%	2.4%	2.2%	2.3%	2.2%
	გაცვლითი კურსი (გეგმა)	**2.9279**	**3.0241**	**3.2448**	**3.7201**	**3.6341**
	გაცვლითი კურსი (ფაქტი)	**2.9706**	**3.1352**	**3.5382**	**3.7882**	**3.0410**
	ცვლილება (%)	**14.4%**	**5.5%**	**12.9%**	**7.1%**	**-19.7%**
პერსონალი	**დასაქმებულთა რაოდენობა**	**804**	**806**	**809**	**789**	**805**
	მათ შორის ავიამეთვალყურეები	112	114	114	105	110
	სხვა პერსონალი	692	692	695	684	695
კომპანიის წმინდა ღირებულება	**კომპანიის წმინდა ღირებულება წლის ბოლოს**	**159,239**	**161,972**	**139,300**	**130,461**	**202,666**
	არაფინანსური აქტივები წლის ბოლოს (NBV)	136,375	152,380	143,371	136,042	135,539
	წმინდა ფინანსური აქტივები წლის ბოლოს	22,863	9,592	(4,071)	(5,581)	67,127
	შემოსავალი	**83,506**	**76,592**	**50,684**	**78,584**	**159,890**
	მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურებიდან	51,283	45,366	38,687	49,193	127,072
	ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურებიდან	30,069	28,500	10,546	27,284	31,798
	სხვა საქონლისა და მომსახურების გაქიდვები	34	31	30	28.37	27
	სხვა შემოსავლები	2,120	2,696	1,421	2,079	993
	ხარჯები	**65,641**	**74,444**	**80,092**	**88,167**	**93,921**
	შრომის ანაზღაურება	32,409	37,932	40,983	44,999	50,437
	საქონლისა და მომსახურების გამოყენება	12,200	12,675	10,262	12,028	14,065
	ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	13,041	14,419	16,506	15,745	16,192
	პროცენტები	119	113	928	2,735	1,454
	სოციალური უზრუნველყოფა	1,832	1,965	2,018	1,985	2,557
	სხვა ხარჯები	6,040	7,339	9,395	10,675	9,216
	წმინდა საოპერაციო სალდო	**17,865**	**2,149**	**(29,408)**	**(9,583)**	**65,969**
	არაფინანსური აქტივების შეძენა	**27,437**	**29,062**	**3,855**	**8,416**	**10,551**
	წმინდა დაკრედიტება / (სესხის აღება)	**3,469**	**(12,494)**	**(16,757)**	**(2,254)**	**71,610**
	წმინდა არასაოპერაციო სალდო	**(570)**	**(757)**	**748**	**744**	**268**
	ფლობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(542)	(740)	1,640	194	255
	სხვა მოცულობითი ცვლილებები	(28)	(17)	(893)	550	13
	წმინდა ღირებულების მთლიანი ცვლილება	**17,295**	**1,392**	**(28,660)**	**(8,839)**	**66,237**

საქაერონავიგაციის პროფილი

საქაერონავიგაცია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ სახელმწიფოს 100 პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, მესტიის და ამბროლაურის აეროდრომებზე სააერნაოსნო მომსახურებას უწევს საჰაერო სივრცის მომხმარებლებს.

საქაერონავიგაცია უკვე 29 წელია საქართველოში სააერნაოსნო მომსახურების ერთადერთი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერთიფიცირებული მიმწოდებელია, რომელიც საკმაოდ წარმატებულად ახერხებს საჰაერო სივრცის მომხმარებელთა მოლოდინების დაკმაყოფილებას მზარდი საჰაერო მოძრაობის პირობებში.

საქაერონავიგაცია კომპლექსურ საჰაერო სივრცეში საჰაერო მოძრაობის მართვას თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესაბამისი სააერნაოსნო საშუალებებით გამართული ინფრასტრუქტურითა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით ახორციელებს.

ისტორია

საქაერონავიგაციის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის ისტორია 1993 წლიდან იწყება. ზუსტად 29 წლის წინ თბილისის გაერთიანებული ავიარაზმისა და ელექტრო-რადიო-ტექნიკური უზრუნველყოფის ბაზის გაერთიანების შედეგად, შეიქმნა სახელმწიფო საწარმო საქაერონავიგაცია.

1999 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქაერონავიგაცია გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. თვითდაფინანსების პრინციპზე გადასვლამ ორგანიზაციას სწრაფი განვითარების საშუალება მისცა

მისია და მიზანი

საქაერონავიგაციის მისიაა საქართველოს საჰაერო სივრცეში უსაფრთხო ფრენების უზრუნველყოფა მსოფლიო საჰაერო ტრანსპორტის დინამიური განვითარების პირობებში.

საქაერონავიგაციის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და საჰაერო მოძრაობის ორგანიზების პროცესში საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირება.

გეოგრაფიული არეალი

საქაერონავიგაცია საერნოსნო მომსახურებას ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ასახულ საფრენოსნო საინფორმაციო რაიონში (თბილისის FIR) ახორციელებს.

თბილისის (საქართველოს) საფრენოსნო საინფრომაციო რაიონი გარშემორტყმულია ოთხი ქვეყნის საფრენოსნო საინფორმაციო რაიონით. როსტოვის (რუსეთის) საფრენოსნო საინფორმაციო რაიონი, ბაქოს (აზერბაიჯანის) საფრენოსნო საინფორმაციო რაიონი, ერევანის (სომხეთის) საფრენოსნო საინფორმაციო რაიონი და ანკარის (თურქეთის) საფრენოსნო საინფორმაციო რაიონი.

საქაერონავიგაციის მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე 89,300 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს

კორპორაციული მართვა

კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემის ამოცანაა კომპანიის წესდების, კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და მსოფლიოში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით უზრუნველყოს კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების დროული და ეფექტური შესრულება უსაფრთხო ფრენებისა და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის მიზნით.

სამართლებრივი ფორმა

შპს „საქაერონავიგაცია“ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა.

კომპანიის მმართველობითი ორგანოები

პარტნიორთა კრება

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება პარტნიორის - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც კრების ოქმის ტოლფასია. **სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“** სააგენტო შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას ახორციელებს.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისგან და მის შემადგენლობას განსაზღვრავს პარტნიორთა კრება, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და 2022 წელს წარმოდგენილი იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის მოადგილეებით და ერთი დამოუკიდებელი წევრით.

დირექტორატი

კომპანიას ჰყავს დირექტორატი, რომელიც შედგება გენერალური და აღმასრულებელი დირექტორისაგან. დირექტორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რეგულაცია

სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

სერთიფიცირება

შპს „საქაერონავიგაცია“ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მირ სერთიფიცირებული ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ლიცენზირებული ავიამეთვალყურეებისა და ბრიფინგ და მეტეო ოფიცრების მეშვეობით ახორციელებს საჰაერო მოძრაობის მართვის, სააერნაოსნო ინფორმაციისა და მეტეოროლოგიურ მომსახურებას.

ზედამხედველობა

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო და პარტნიორთა კრება „მეწარმეთა შესახებ“ საქრთველოს კანონისა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

წლიური შედეგები

წლიური შედეგები აისახება კომპანიის ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში, რომელსაც გენერალური დირექტორი აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმით წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორთა კრებას საფინანსო წლის შედეგების მიხედვით.

ხარისხის მართვის სისტემა

2018 წელს შპს „საქაერონავიგაციამ“ ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მართვის სისტემა, რომლის პრინციპები და პროცედურები შეთანხმებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან.

ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს არა მხოლოდ საჰაერო მოძრაობის მართვის პროცესებს, არამედ სხვა პროცესებსაც, რომლებმაც შესაძლებელია ზემოქმედება იქონიონ ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, როგორებიცაა კომუნიკაცია-ნავიგაცია-ლოკაცია, სააერნაოსნო მეტეოროლოგიური მომსახურება და სააერნაოსნო ინფორმაციის მომსახურება.

ორგანიზაციაში მუდმივად მიმდინარეობს ხარისხის მართვის შესაბამისი პროცესები, ორგანიზაციის მიერ მომხმარებლებისათვის გაწეული მომსახურებების გასაუმჯობესებლად და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მენეჯმენტის მიმოხილვის საბჭო რეგულარულად განიხილავს ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მისი პროცესების შედეგებს.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის ბრძანება N119-ით დამტკიცებული "სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის" მიხედვით სააერნაოსნო მომსახურების საწარმომ უნდა განახორციელოს მართვის სისტემის პროცესების დოკუმენტირება და მათი ასახვა მართვის სისტემის სახელმძღვანელოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ფრენების უსაფრთხოების და ხარისხის მართვის სისტემების ინტეგრირების და მათ ბაზაზე ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს რიგი პროცესების გაერთიანებას, ოპტიმიზაციას და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. გადაწყვეტილების შესაბამისად შემუშავდა ინტეგრირებული მართვის სისტემის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს:

- უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად;
- საწარმოს პოლიტიკას ფრენის უსაფრთხოების და ხარისხის მართვის კუთხით;
- ეფექტიანობის ინდიკატორებს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური ოპერირების და საექსპლუატაციო მიზნებთან შესაბამისობის ნიშნულებს;
- საწარმოს ფუნქციონალურ სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების მართვის პროცესს, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ორგანიზაციაში დადგენილ პროცესებზე, პროცედურებსა და საწარმოს საქმიანობაზე;
- მართვის სისტემის შეფასების პროცესს, რათა გამოვლინდეს მართვის სისტემის ხარვეზები და მათი მიზეზები, განისაზღვროს ამგვარი მუშაობის შედეგები და გატარდეს მაკორექტირებელი ღონისძიებები მისი აღმოფხვრის მიზნით;
- პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალს შესაბამისი სწავლებით და სათანადო კვალიფიკაციით;
- პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს პერსონალის ინფორმირებას საწარმოში მიმდინარე/დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების პროცესის ფარგლებში და შესაბამისობაშია ეროვნულ საკანონმდებლო აქტებთან, შპს „საქაერონავიგაციის“ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, საწარმოში მოქმედ სამუშაო ინსტრუქციებთან და საწარმოს მართვის სისტემის პროცესებთან.

ორგანიზაციული სტრუქტურა

პერსონალი

2022 წელს პერსონალის რაოდენობა (805) 2021 წელთან შედარებით ერთი თანამშრომლით გაიზარდა

მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვისა, ადამიანურ ფაქტორს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ICAO-ს რეკომენდაციების შესაბამისად კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის პროფესიული გადამზადების საკითხს.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შრომითი რესურსის ეფექტური გამოყენებისათვის პერსონალის უწყვეტი გადამზადების კურსების ორგანიზაცია წარმოადგენს, რომელიც აუცილებელი კომპონენტია საერნაოსნო მომსახურებით დაკავებული ყოველი კომპანიისათვის.

ინსტრუმენტალური და ვიზუალური ფრენების რაოდენობა

2022 წელს 2021 წელთან შედარებით **69%**-ით

გაიზარდა და ჯამში **147,525** ფრენა შეადგინა

საჰაერო მოძრაობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 2022 წელს ფაქტობრივად შესრულებული ფრენების შედარებას 2021 წლის ფაქტობრივ მონაცემებთან მომსახურების სახეობების და აეროპორტების მიხედვით. ფრენების რაოდენობა მარშრუტზე გაიზარდა 83 პროცენტით, ხოლო ტერმინალზე 43 პროცენტით.

ფრენების რაოდენობა	2021			2022			2022/2021		
	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR
	84 921	2 393	87 314	144 193	3 332	147 525	69.80%	39.24%	68.96%
მარშრუტი	**56 603**	**1 063**	**57 666**	**104 049**	**1 222**	**105 271**	**83.82%**	**14.96%**	**82.55%**
ტერმინალი	**28 318**	**1 330**	**29 648**	**40 144**	**2 110**	**42 254**	**41.76%**	**58.65%**	**42.52%**
თბილისი	21 159	609	21 768	28 814	987	29 801	36.18%	62.07%	36.90%
ბათუმი	4 653	66	4 719	5 440	100	5 540	16.91%	51.52%	17.40%
კოპიტნარი	2 506	90	2 596	5 888	151	6 039	134.96%	67.78%	132.63%
მესტია	-	372	372	1	616	617		65.59%	65.86%
ამბროლაური	-	193	193	1	256	257		32.64%	33.16%

2022 წელს ინსტრუმენტალური (IFR) და ვიზუალური (VFR) ფრენების ცვლილება 2021 წელთან შედარებით

2022 წელს საჰაერო მოძრაობის საშუალო დღიურმა მაჩვენებელმა 405 ფრენა შეადგინა რაც 70 პროცენტით მეტია 2021 წლის ფაქტობრივ საშუალო დღიურ მაჩვენებელზე. ყოველდღიური ფრენების რაოდენობა მარშრუტზე გაიზარდა 83 პროცენტით, ხოლო ტერმინალზე 44 პროცენტით.

მარშრუტი/აფრენა-დაფრენა	2017	2018	2019	2020	2021	2022	%
	400	428	389	184	239	405	70%
მარშრუტი (გადაფრენა)	**284**	**292**	**255**	**145**	**158**	**288**	**83%**
ტერმინალი (აფრენა-დაფრენა)	**116**	**136**	**135**	**39**	**81**	**117**	**44%**
თბილისი	90	105	101	31	60	82	37%
ბათუმი	15	16	16	2	13	16	21%
კოპიტნარი	9	12	16	4	7	17	130%
მესტია	2	2	2	1	1	2	72%
ამბროლაური	1	1	1	0	1	1	33%
ცვლილება (%)	14%	7%	-9%	-53%	30%	70%	

საშუალო ფრენის რიცხვი დღე-ღამეში მომსახურების სახეების, აეროპორტებისა და წლების მიხედვით

მარშრუტზე საჰაერო მოძრაობა	ფაქტობრივი ზრდა 2022/2021	2018	2019	2020	2021	2022
		7%	-9%	-53%	32%	70%
STATFOR 2022 წლის პროგნოზი	მაღალი	9%	5%	-54%	72%	73%
	საშუალო	9%	3%	-54%	18%	70%
	დაბალი	9%	1%	-54%	15%	67%

მარშრუტზე საჰაერო მოძრაობის 2022 წლის ფაქტობრივი მონაცემის შედარება STATFOR-ის პროგნოზთან (2022 წლის ოქტომბერი)

ფაქტობრივი/საპროგნოზო მონაცემები	2021/2020			2022/2021		
	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR
ფაქტობრივი მონაცემები						
ტერმინალი	**124%**	**18%**	**115%**	**42%**	**59%**	**43%**
თბილისი	96%	15%	93%	36%	62%	37%
ბათუმი	768%	18%	697%	17%	52%	17%
კოპიტნარი	86%	-27%	77%	135%	68%	133%
მესტია		28%	28%		66%	66%
ამბროლაური		51%	51%		33%	33%
საპროგნოზო მონაცემები						
ტერმინალი	**141%**	**30%**	**132%**	**25%**	**28%**	**25%**
თბილისი	121%	3%	116%	19%	60%	20%
ბათუმი	489%	48%	448%	108%	17%	105%
კოპიტნარი	159%	60%	151%	-7%	-44%	-9%
მესტია		54%	54%		13%	13%
ამბროლაური		45%	45%		54%	54%

ტერმინალზე საჰაერო მოძრაობის ფაქტობრივი მონაცემის შედარება პროგნოზთან წლების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 2022 წელს ფაქტობრივად შესრულებული ფრენების შედარებას 2021 წლის ფაქტობრივ და 2022 წლის საგეგმო მონაცემებთან მომსახურების სახეობების, აეროპორტების და თვეების მიხედვით:

ფაქტობრივი ფრენის რიცხვი თვეში წლების მიხედვით															
გადაფრენა/ აფრენა-დაფრენა	2021 Actual			2022 Planned			2022 Actual			2022 A/2021 A			2022 A/2022 P		
	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR	IFR	VFR	IFR+VFR
	A	B	C	D	E	F	D	E	F	G/D	H/E	I/F	G/D	H/E	I/F
გადაფრენა	**56,603**	**1,063**	**57,666**	**81,818**	**1,537**	**83,355**	**104,049**	**1,222**	**105,271**	**183.82%**	**114.96%**	**182.55%**	**127.17%**	**79.51%**	**126.29%**
აფრენა-დაფრენა	**28,318**	**1,330**	**29,648**	**38,182**	**1,869**	**40,051**	**40,144**	**2,110**	**42,254**	**141.76%**	**158.65%**	**142.52%**	**105.14%**	**112.89%**	**105.50%**
თბილისი	21,159	609	21,768	28,387	868	29,255	28,814	987	29,801	136.18%	162.07%	136.90%	101.50%	113.71%	101.87%
ბათუმი	4,653	66	4,719	6,565	97	6,662	5,440	100	5,540	116.91%	151.52%	117.40%	82.86%	103.09%	83.16%
კოპიტნარი	2,506	90	2,596	3,229	111	3,340	5,888	151	6,039	234.96%	167.78%	232.63%	182.35%	136.04%	180.81%
მესტია	-	372	372	-	507	507	1	616	617	-	165.59%	165.86%	-	121.50%	121.70%
ამბროლაური	-	193	193	-	286	286	1	256	257	-	132.64%	133.16%	-	89.51%	89.86%
სულ	**84,921**	**2,393**	**87,314**	**120,000**	**3,406**	**123,406**	**144,193**	**3,332**	**147,525**	**169.80%**	**139.24%**	**168.96%**	**120.16%**	**97.83%**	**119.54%**
იანვარი	4,088	39	4,127	8,734	133	8,867	6,318	140	6,458	154.55%	358.97%	156.48%	72.34%	105.26%	72.83%
თებერვალი	4,316	110	4,426	7,788	198	7,986	5,854	263	6,117	135.63%	239.09%	138.21%	75.17%	132.83%	76.60%
მარტი	5,755	189	5,944	9,357	307	9,664	9,430	198	9,628	163.86%	104.76%	161.98%	100.78%	64.50%	99.63%
აპრილი	6,242	201	6,443	9,694	312	10,006	9,107	199	9,306	145.90%	99.00%	144.44%	93.94%	63.78%	93.00%
მაისი	7,257	218	7,475	10,017	301	10,318	10,525	294	10,819	145.03%	134.86%	144.74%	105.07%	97.67%	104.86%
ივნისი	8,653	234	8,887	10,559	286	10,845	12,003	258	12,261	138.71%	110.26%	137.97%	113.68%	90.21%	113.06%
ივლისი	10,287	304	10,591	11,913	352	12,265	14,776	349	15,125	143.64%	114.80%	142.81%	124.03%	99.15%	123.32%
აგვისტო	9,639	270	9,909	11,743	329	12,072	15,617	481	16,098	162.02%	178.15%	162.46%	132.99%	146.20%	133.35%
სექტემბერი	7,349	236	7,585	10,659	342	11,001	16,663	447	17,110	226.74%	189.41%	225.58%	156.33%	130.70%	155.53%
ოქტომბერი	7,320	193	7,513	9,908	261	10,169	16,205	282	16,487	221.38%	146.11%	219.45%	163.55%	108.05%	162.13%
ნოემბერი	6,856	213	7,069	9,760	303	10,063	13,601	222	13,823	198.38%	104.23%	195.54%	139.35%	73.27%	137.36%
დეკემბერი	7,159	186	7,345	9,869	281	10,150	14,094	199	14,293	196.87%	106.99%	194.59%	142.81%	70.82%	140.82%

ინოვაცია და განვითარება

რესერთიფიცირება

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ 2019 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა საერონაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი (ბრძანება N119), რომელმაც შეცვალა სააგენტოს 2014 წლის 3 იანვრის N01 ბრძანება „საჰაერო მოძრაობის სამსახურების და საშუალებების სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“.

სერტიფიცირების ახალი წესი ეფუძნება ევროკავშირის რეგულაციას 2017/373, რომელიც ჯერ ევროპაშიც არ არის დანერგილი და რის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნების საერონაოსნო მომსახურების საწარმოების ხელახალი სერტიფიცირება უნდა მოხდეს 2021 წლიდან.

საერონაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი განსაზღვრავს რეგულირების სფეროებს ახლებურად. ესენია:

1. საჰაერო მოძრაობის ორგანიზება
2. საავიაციო კავშირგაბმულობა, სანავიგაციო მომსახურება, სარადიოლოკაციო მომსახურება;
3. საავიაციო მეტეოროლოგია;
4. ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურება;
5. ფრენის პროცედურების დიზაინი ან/და საავიაციო რუკების შედგენა.

ბრძანება N119 მიხედვით, შპს საქაერონავიგაციამ ხელახალი სერტიფიცირებისათვის მზადების პროცესში, ამავე ბრძანების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით უნდა იხელმძღვანელოს ევროკავშირის (EU) 2017/373-ის „Easy Acess Rules for Air Traffic Management/Air Navigation Services” რეგულაციის სახელმძღვანელო მასალით, სადაც მოცემულია ევროკავშირისათვის მისაღები საუკეთესო პრაქტიკები და სტანდარტები.

სერტიფიცრებისათვის ეფექტიანად მომზადების მიზნით, კომპანიაში გენერალური დირექტორის 2019 წლის 9 ივლისის №81 ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა მართვის სისტემის სახელმძღვანელოს, საწარმოს მართვის სისტემის პოლიტიკის დოკუმენტის, ასევე საწარმოში დასანერგ პროცესებზე ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადება.

სამუშაო ჯგუფის ერთობლივი მუშაობის შედეგად 2021 წლის 1 მარტს შპს „საქაერონავიგაციას“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გადაეცა საერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერთიფიკატი უვადოდ.

სერტიფიცრების ასეთი პროცესი, თავის შინაარსით და მასშტაბით კომპანიისთვის უპრეცენდენტოა და განგრძობითად ემსახურება ევროპული სტანდარტების დანერგვას საერონასონო მომსახურების სფეროში.

ევროკონტროლის ახალი ერთიანი ევროპული ქსელი (New PENS)

საჰაერო მოძრაობის ორგანიზების გენერალურ გეგმაში (ATM MP) გვაქვს New PENS-ში მიგრაციის ვალდებულება COM12 — New Pan-European Network Service.

ერთიანი შესყიდვის შემდეგ, რომელიც ინიცირებული და რეალიზებული იყო ევროკონტროლის მიერ ზემოთხსენებული ქსელის შექმნის მიზნით, ევროკონტროლმა და ევროკონტროლის 41 პარტნიორმა, სადაც პირველრიგში, შედიოდნენ საერონაოსნო მომსახურების პროვაიდერები (ANSP) გააფორმეს 10 წლიანი კონტრაქტი ევროკონტროლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია BT (British Telecommunications)-სთან, უსაფრთხო და მდგრადი ახალი ერთიანი ევროპული ქსელით მომსახურების (NewPENS) უზრუნველყოფისა და მართვის მიზნით.

საქართველოს მთავრობის №325 დადგენილების „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის წესის“ თანახმად, საერთაშორისო აერნაოსნობის მეტეოროლოგური შეტყობინებები: METAR-ი, TAF-ი, SIGMET-ი და AIRMET-ი მსოფლიო საავიაციო მეტეოროლოგიურ ბანკში უნდა გავრცელდეს ციფრულ - IWXXM ფორმატით. აღნიშნული ფორმატით ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს საერნაოსნო შეტყობინების მართვის სისტემით (AMHS).

საერნაოსნო შეტყობინების მართვის სისტემით (AMHS) დაკავშირება მსოფლიო საავიაციო მეტეოროლოგიურ ბანკთან (ROC) უნდა განხორციელდეს ევროკონტროლის ახალი ერთიანი ევროპული ქსელით (New PENS – new pan-European network service).

New PENS-ი არის ულტრა მდგრადი ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროკონტროლი და პასუხს აგებს საავიაციო მონაცემთა ნაკადების საიმედოობისა და უსაფრთხოების ამაღლებაზე.

ევროკონტროლის ახალი ერთიანი ევროპული ქსელი უზრუნველყოფს ინტერნეტ პროტოკოლზე (IP) დაფუძნებულ ინფრასტრუქტურას საერონაოსნო ინფორმაციების გაცვლისთვის საერნაოსნო მომსახურების პროვაიდერებსა/მიმწოდებლებსა (ANSP) და სხვა საჰაერო მოძრაობის ორგანიზების (ATM) დაინტერესებულ მხარეებს შორის. მხარს უჭერს სამომავლო დაგეგმილ აპლიკაციებს SESAR-ის პროგრამაში, როგორიცაა SWIM-ი.

NewPENS– ის ძირითადი მიზნები და სარგებელი:

- პან-ევროპული ქსელის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია IP პროტოკოლზე და მხარს უჭერს ყველა ახლანდელ და სამომავლო საჰაერო მოძრაობის მართვის აპლიკაციებს (OLDI/FMTP, AMHS, IFPL, COTR, VoIP ...);
- ხარჯების შემცირება მსგავს მომსახურებებთან შედარებით, საერთო CFT პროცესის, მასშტაბის ეკონომიურობისა და საერთო ხარჯების განაწილების შედეგად;
- ევროპაში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დეფრეგმენტაცია: ANSPs Backbone, EAD და NM (უკეთესი ეფექტურობა);
- საჰაერო მოძრაობის მართვის (ATM) შესაბამისი უსაფრთხოების დონე;
- ქმედუნარიანობა იქნება 99,999% - მდე;
- სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოება და მოქნილობა.

ეფექტიანობის მართვის სისტემა

ეფექტიანობაზე დაფუძნებული მიდგომა კომპანიაში ეფექტიანობის ძირითადი სფეროებისა და შესაბამისი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლიდან ევროკონტროლში გაწევრიანების შემდეგ ფინანსურ და ეკონომიკურ დანახარჯთა ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება კომპანიაში ხორციელდება ევროპის ქვეყნებისთვის დადგენილი ერთიანი მეთოდოლოგიითა და ეფექტიანობის შეფასების დამოუკიდებელი სისტემის მეშვეობით, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოცემულ ცხრილში კომპანიის ჭრილში ეფექტიანობის ინტეგრირებული ძირითადი მაჩვენებლები ეფექტიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით 2021 წლიდან „უსაფრთხოების, გამტარუნარიანობის, გარემოს დაცვის და ხარჯების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების სახელმძღვანელოში“ იქნა ინტეგრირებული.

KPI ID	ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების დასახელება	ეფექტიანობის ძირითადი სფეროები			
		SAF	CAP	ENV	CEF
SAF-01	დადგენილი ინტერვალის დარღვევა				
SAF-02	საავიაციო მოვლენის სავალდებულო შეტყობინების სისტემის ეფექტიანობა				
SAF-03	საავიაციო მოვლენების ანალიზი				
AIS-01	საერნაოსნო ინფორმაციის კრებულის სექციები შეცდომების გარეშე				
AIS-02	შეტყობინებები შეცდომების გარეშე				
AIS-03	ფრენის გეგმები და მათთან დაკავშირებული შეტყობინებები შეცდომების გარეშე				
AIS-04	ფრენისწინა ინფორმაციის ბიულეტენები შეცდომების გარეშე				
AIS-05	სახელსაწყო ფრენის პროცედურები შეცდომების გარეშე				
AIS-06	საავიაციო რუკები შეცდომების გარეშე				
MET-01	საეროდრომო პროგნოზში ქარის სიზუსტე				
MET-02	საეროდრომო პროგნოზში ხილვადობის სიზუსტე				
MET-03	საეროდრომო პროგნოზში ნალექების სიზუსტე				
MET-04	საეროდრომო პროგნოზში ღრუბლებზე ინფორმაციის სიზუსტე				
MET-05	საეროდრომო პროგნოზში ჰაერის ტემპერატურის სიზუსტე				
CNS-01	სარადიოლოკაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა				
CNS-02	საავიაციო კავშირგაბმლობის მომსახურების ხელმისაწვდომობა				
CNS-03	სანავიგაციო მომსახურების საოპერაციო ქმედუნარიანობა				
ATFM-01	სექტორ(ებ)ის გამტარუნარიანობის ათვისების მაჩვენებელი				
ASM-01	ფრენის ჰორიზონტალური დისტანციის ეფექტურობის მაჩვენებელი (ადგილობრივი)				
FIN-01	ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი				
FIN-02	ეკონომიკურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი				

ეფექტიანობის ძირითადი სფეროებისა და მაჩვენებლების შერჩევა კომპანიაში განხორციელდა ICAO-ს ეფექტიანობის მართვის გლობალურ ჰარმონიზებული სისტემისა და მასში ასახული ექვს ეტაპიანი მეთოდის გამოყენებით.

ეფექტიანობის მართვის პროცესი ეფუძნება სამ პრინციპს: ძლიერი ფოკუსირება სასურველ ან მოთხოვნილ შედეგებზე; დაყრდნობა ფაქტებზე და მონაცემებზე; დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება თანამშრომლობის საფუძველზე.

უსაფრთხოება (SAF)

საქართველოში „ფრენების უსაფრთხოების მართვის სისტემის ზოგადი წესი“ დამტკიცებულია სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 29 დეკემბრის 206 ბრძანებით. აღნიშნული წესის, ჩიკაგოს კონვენციის მე-19 დანართისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) დოკუმენტის (Doc-9859) საფუძველზე 2021 წელს შემუშავდა და 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ინტეგრირებული მართვის სისტემის სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია უსაფრთხოების ეფექტურობის სამი ძირითადი მაჩვენებელი:

- დადგენილი (რაც ითვალისწინებს ჰორიზონტალურად 10 საზღვაო მილი და ვერტიკალურად 1000 ფუტი) ინტერვალის დარღვევა;
- სავალდებულო შეტყობინების სისტემით გამოვლენილი საავიაციო მოვლენების ანალიზი;
- ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პერსონალის მიერ გამოგზავნილი საავიაციო მოვლენასთან დაკავშირებული სავალდებულო შეტყობინება ტექნიკური აღჭურვილობის მტყუნების შესახებ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მიზნობრივი და ფაქტობრივი უსაფრთხოების ეფექტიანობის მაჩვენებლები წლების (2018-2023) მიხედვით.

ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები	2018	2019	2020	2021	2022	2023
SAF-01 - დადგენილი ინტერვალის დარღვევა						
დადგენილი ნიშნული	0.52	0.45	0.45	0.41	0.36	0.34
წლის შედეგი	0.45	0.62	0.41	0.00	0.34	
მიღწეულია (კი/არა)	კი	არა	კი	კი	კი	
SAF-02 - საავიაციო მოვლენის სავალდებულო შეტყობინების სისტემის ეფექტიანობა						
დადგენილი ნიშნული	1	0.84	0.85	0.87	0.87	0.85
წლის შედეგი	0.84	0.85	0.87	0.91	0.85	
მიღწეულია (კი/არა)	არა	კი	კი	კი	არა	
SAF-03 - საავიაციო მოვლენების ანალიზი						
დადგენილი ნიშნული	90%	100%	100%	100%	100%	100%
წლის შედეგი	100%	100%	100%	100%	100%	
მიღწეულია (კი/არა)	კი	კი	კი	კი	კი	

კომპანიაში ყოველწლიურად მზადდება უსაფრთხოების ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს გააცნოს ფრენების უსაფრთხოების დონის შესახებ არსებული მდგომარეობა და მიმდინარე ტენდენციები. ანგარიში მოიცავს 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში თბილისის საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის (FIR) საჰაერო სივრცეში განხორციელებული ფრენების მონაცემებს, ფრენების უსაფრთხოების კუთხით განხორციელებულ საქმიანობას, კერძოდ: შემოსული სავალდებულო შეტყობინებების ანალიზს, ჩატარებული მოკვლევების, უსაფრთხოების კვლევების, აუდიტების და დანერგილი ცვლილებების უსაფრთხოების შეფასებების შესახებ ინფორმაციას.

ტექნიკური კომპლექსის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ტექნიკურ კომპლექსში საავიაციო კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო სამუშაო პოზიციების მიხედვით, ასევე საერნაოსნო ინფორმაციის მომსახურების სამსახურის ეფექტიანობის ფაქტობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მიეკუთვნება უსაფრთხოების სფეროს, წარმოადგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. აღნიშნული მომსახურების სფეროებისათვის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრა 99.999%-ის დონეზე.

№	საავიაციო კავშირგაბმულობის სამუშაო პოზიციების დასახელება	საანგარიშო წელი					
		2018	2019	2020	2021	2022	2023
1	ACC East	0,999999850	0,999999995	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
2	ACC West	0,999998330	0,999999999	0,999999996	0,999999999	0,999999999	0.999999
3	APP TBS	0,999999999	0,999999929	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
4	APP KTS	0,999999999	0,999999902	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
5	APP BTM	0,999999999	0,999999889	0,999999900	0,999999999	0,999999999	0.999999
6	FIS	0,999874429	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,958743617	0.999999
7	TWR TBS	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
8	TWR KTS	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
9	TWR BTM	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999999
10	TWR MST	-	0,999983751	0,999989764	0,999999999	0,999779139	0.999999
11	TWR AMB	-	0,999999999	0,999999999	0.999777	0.999999999	0.999999
12	ATIS				0.999774000	N/A	N/A
13	EMR ACC E				0,999999999	0,999999999	0.999999
14	EMR AAC W				0,999999999	0,999999999	0.999999
15	EMR APP TBS				0,999999999	0,999999999	0.999999
16	EMR APP KTS				0,999999999	0,999999999	0.999999
17	EMR APP BTM				0,999999999	0,999999999	0.999999
18	EMR TWR TBS				0,999999999	0,999999999	0.999999
19	EMR TWR KTS				0,999999999	0,999999999	0.999999
20	EMR TWR BTM				0,999999999	0,999999999	0.999999
21	EMR TWR MST				0,999999999	0,999999999	0.999999
22	EMR TWR AMB				0,999999999	0,999999999	0.999999
23	EMR FIS				0,999999999	0,999999999	0.999999

ნავიგაციის სამსახურის ეფექტიანობის მაჩვენებლები

№	სანავიგაციო სისტემების დასახელება	საანგარიშო წელი					
		2018	2019	2020	2021	2022	2023
1	UGTB – 13R	0,999997027	0,999999148	0,999974345	0.999996301	0.999999996	0.99999
2	UGTB – 31L	0,999997828	0,999999610	0,999988175	0.999998062	0.999999996	0.99999
3	UGKO – 07	0,999885848	0,982835486	0,999999998	0.999999635	0.999995194	0.99999
4	UGKO – 25	0,999999945	0,999995885	0,999999999	0.999998483	0.999995194	0.99999
5	UGSB – 13	0,999999999	0,999999999	0,999999342	0.999999810	0.999999999	0.99999
6	EN-Route	0,999999999	0,999999999	0,999999999	0,999999999	0.999863735	0.99999

რადიოლოკაციის სამსახურის ეფექტიანობის მაჩვენებლები

№	სარადიოლოკაციო ობიექტების სამუშაო პოზიციების დასახელება	საანგარიშო წელი					
		2018	2019	2020	2021	2022	2023
1	ACC East	0,997168563	0,997990019	0,998189863	0.997587900	0.998036530	0.99999
2	ACC West	0,999987031	0,999992068	0,999996982	0.999998001	0.999995950	0.99999
3	APP TBS	0,999978024	0,999995250	0,999998324	0.999994609	0.99999127	0.99999
4	APP KTS	0,999987031	0,999992068	0,999996982	0.999998001	0.999995950	0.99999
5	APP BTM	0,999987031	0,999992068	0,999996982	0.999998001	0.999995950	0.99999

მეტეოროლოგიური სამსახურის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები

მეტეოპროდუქტი	მიზნობრივი დონე	2018		2019		2020		2021		2022	
		რეალური	გადახრა	რეალური	გადახრა	რეალური	გადახრა	რეალური	გადახრა	რეალური	გადახრა
თბილისი											
ქარის მიმართულება	80	93.77		90.77		93.71		92.98		92.25	
ქარის სიჩქარე	80	79.04	-0.96	79.88	-0.12	82.17		83.43		83.23	
ხილვადობა	80	85.52		84.08		93.57		92.86		95.87	
ღრუბლის სიმაღლე	70	75.21		76.64		87.62		89.82		92.97	
ღრუბლის რაოდენობა	70	68.46	-1.54	79.72		82.02		88.45		90.30	
ნალექები	80	81.25		87.08		88.96		90.72		92.65	
ტემპერატურა min	70	67.53	-2.47	67.88	-2.12	71.93		75.00		76.41	
ტემპერატურა max	70	69.83		66.74	-3.26	72.16		76.74		76.21	
ქუთაისი											
ქარის მიმართულება	80	96.21		96.47		93.44		94.70		94.69	
ქარის სიჩქარე	80	78.52	-1.48	79.23		80.86		83.78		85.11	
ხილვადობა	80	87.41		86.53		89.88		90.22		89.83	
ღრუბლის სიმაღლე	70	88.78		88.98		90.25		90.21		91.50	
ღრუბლის რაოდენობა	70	77.03		78.53		87.42		89.44		88.80	
ნალექები	80	82.63		86.47		88.70		87.81		89.74	
ტემპერატურა min	70	88.82		81.55		79.66		78.81		80.83	
ტემპერატურა max	70	85.60		88.62		89.76		85.42		86.08	
ზათუმი											
ქარის მიმართულება	80	85.97		87.20		88.17		89.50		88.51	
ქარის სიჩქარე	80	77.29	-2.71	78.06	-1.94	80.96		83.92		81.65	
ხილვადობა	80	84.00		86.98		90.61		90.92		90.09	
ღრუბლის სიმაღლე	70	70.12		69.57	-0.43	81.73		86.29		81.57	
ღრუბლის რაოდენობა	70	69.86	-0.14	68.28	-1.72	80.80		89.29		87.33	
ნალექები	80	79.51	-0.49	79.62	-0.38	84.18		85.34		87.62	
ტემპერატურა min	70	71.16		73.63		74.84		77.62		77.09	
ტემპერატურა max	70	69.38	-0.62	69.29	-0.71	73.37		80.90		76.59	
მესტია											
ქარის მიმართულება	80	97.52		84.16		98.18		97.71		96.10	
ქარის სიჩქარე	80	86.01		97.33		87.32		88.69		87.67	
ხილვადობა	80	83.98		88.35		96.63		92.35		92.12	
ღრუბლის სიმაღლე	70	71.89		74.73		89.36		86.72		86.09	
ღრუბლის რაოდენობა	70	69.89	-0.11	70.56		85.44		86.65		88.52	
ნალექები	80	80.02		80.86		92.07		88.84		91.12	
ამბროლაური											
ქარის მიმართულება	80			93.81		91.46		92.73		92.98	
ქარის სიჩქარე	80			87.73		87.40		86.99		90.56	
ხილვადობა	80			90.89		86.07		89.21		90.26	
ღრუბლის სიმაღლე	70			86.45		80.37		84.00		87.40	
ღრუბლის რაოდენობა	70			69.23	-0.77	73.49		82.83		84.90	
ნალექები	80			86.64		87.69		88.76		91.69	

2022 წელს გამოიცა მეტეოროლოგია/კლიმატოლოგიის წიგნი. წიგნის პირველ ნაწილში განხილულია ავიაციისთვის საშიში ამინდის მოვლენების პროგნოზირების მეთოდები თერმოდინამიკურ დიაგრამებზე დაფუძნებით. წიგნი სახელმძღვანელო ხასიათისაა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ავიაციაში დასაქმებული პერსონალის, ასევე მეტეოროლოგიის განხრით მოღვაწე სხვა დარგის სპეციალისტების მიერაც. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია, ამბროლაურის აეროპორტის მეტეოსადგურის მონაცემებზე დაყრდნობით ამბროლაურის აეროპორტის (UGAM) კლიმატი.

მეტეოროლოგიური სამსახურის საინფორმაციო ოპერატიულ ცენტრში დამონტაჟდა ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მეტეოროლოგიური შეტყობინებების ტრადიციული ციფრულ-ანბანური კოდების გარდაქმნას, მთავრობის 325 დადგენილებით განსაზღვრულ ახალ IWXXM ციფრულ ფორმატში, რომელიც თავის თავში მოიცავს მეტეოროლოგიური შეტყობინებების XML და GML ფორმატში კოდირებას.

ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ბრიტანული კომპანიის (URS) პოლონური ფილიალის - URS Polska-ს მიერ, მეტეოროლოგიურ სამსახურში 2022 წელს წარმატებით ჩატარდა საზედამხედველო აუდიტი. აუდიტის შედეგების მიხედვით მეტეოროლოგიურმა სამსახურმა შეინარჩუნა ხარისხის მართვის (ISO 9001:2015) სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

2023 წელს დაგეგმილია მეტეოროლოგიური შეტყობინებების (METAR, TAF, SIGMET, AIRMET) გავრცელება ვენის რეგიონალური ოპერატიული მეტეოროლოგიურ ცენტრში ახალი IWXXM ფორმატის სახით AMHS არხის გამოყენებით.

2023 წელს დაგეგმილია შეიქმნას მესტიის ადგილობრივი აეროდრომის კლიმატოლოგიის წიგნი, რომელიც დაფუძნებული იქნება უწყვეტ, ხუთწლიან ამინდზე დაკვირვების მონაცემებზე, ასევე დაგეგმილია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მაგალითზე გამოიცეს წიგნი, რომელშიც განხილული იქნება ნისლების პროგნოზირების თანამედროვე მეთოდები. წიგნი დაფუძნებული იქნება თბილისის, განჯის და ბაქოს საერთაშორისო აეროპორტების ფაქტობრივ მეტეოროლოგიური პირობების ანალიზზე და განხილული იქნება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნისლების წარმოშობის და მისი განვითარების ადგილობრივ თავისებურებებზე.

საერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის ეფექტიანობის მაჩვენებლები

KPI ID	საერნაოსნო ინფორმაციის სამსახური (KPI)	2018	2019	2020	2021	2022	2023
AIS-01	საერნაოსნო ინფორმაციის კრებულის სექციები შეცდომების გარეშე [AIP ERR]	94.94%	99.30%	100%	100%	95.15%	100%
AIS-02	TAM შეტყობინებები შეცდომების გარეშე [TAM ERR]	97.02%	93.25%	96.35%	97%	96.45%	100%
AIS-03	ფრენის გეგმები და მათთან დაკავშირებული შეტყობინებები შეცდომების გარეშე [FPL ERR]	93%	96.60%	97.60%	97%	98.52%	100%
AIS-04	ფრენისწინა ინფორმაციის ბიულეტენები შეცდომების გარეშე [PIB ERR]	98%	98%	99%	100%	99%	100%
AIS-05	სახელსაწყო ფრენის პროცედურები შეცდომების გარეშე [IFP ERR]	99.30%	100%	100%	100%	100%	100%
AIS-06	საავიაციო რუკები შეცდომების გარეშე [CHART ERR]	-	-	100%	100%	75.6%	100%

2022 წელს განხორციელდა AMHS/AIM სისტემის რეალოკაცია, გაყოფა და ვირტუალიზაცია.

გამტარუნარიანობა (CAP)

საერნაოსნო მომსახურების უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაციის (Eurocontrol) მარშრუტის ქსელის განვითარების ჯგუფმა 2012 წლის ნოემბერში განახორციელა კვლევა თბილისის საფრენოსნო საინფორმაციო რაიონში არსებული რაიონული ცენტრის ორი სექტორის გამტარუნარიანობის დადგენის მიზნით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღმოსავლეთ სექტროში ერთი მეთვალყურის მუშაობის პირობებში მისაღები გამტარუნარიანობა წარმოადგენს ერთ საათში 29 საჰაერო ხომალდს, ხოლო დასავლეთ სექტორში 34 საჰაერო ხომალდს. STATFOR-ის პროგნოზის (2017 წლის ოქტომბერი) მიხედვით 7.8 პროცენტით, ხოლო 2018 წელს ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით 7.1 პროცენტით გაზრდილი ფრენების რაოდენობის გათვალისწინებით და ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში ევროკონტროლის ექსპერტების მიერ გაწეული რეკომენდაციების საფუძველზე ზემოაღნიშნული საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის შესაძლებლობებმა და ფუნქციებმა ორგანიზაციას მისცა შესაძლებლობა შეეცვალა რაიონული სამეთვალყურეო ცენტრის კონფიგურაცია ვერტიკალურ განზომილებაში ზედა და ქვედა სექტორებით, რათა გაეთანაბრებინა საჰაერო მოძრაობაზე არსებული მოთხოვნა და არსებული გამტარუნარიანობა თბილისის საფრენოსნო ინფორმაციის რაიონში. პროექტი დასრულდა 2019 წლის მაისში. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებში არსებული გამტარუნარიანობა ერთ საათში, შესაბამისად, 64 და 72 საჰაერო ხომალდამდე გაიზარდა.

თბილისის სამეთვალყურეო რაიონის ახალი სექტორები

2019 წელს თბილისის სამეთვალყურეო რაიონის ახალი სექტორების პროექტი განხორციელდა. პროექტი იწვევს საჰაერო სივრცის გამტარუანრიანობის შესაძლებლობების გაზრდას პიკის პერიოდში უსაფრთხოების შენარჩუნებით, რაც გამოისახება არსებული თბილისის რაიონული სამეთვალყურეო ცენტრის სექტორების ვერტიკალურ პროფილში გაყოფითა და საჰაერო მოძრაობის ნაკადების განაწილებით შესაბამისი დატვირთული ფრენის ეშელონებით, რაც აუმჯობესებს საჰაერო მოძრაობის მომსახურების საერთო ეფექტურობას და იწვევს საჰაერო მიმოსვლის გამარტივებული საჰაერო ნაკადების უზრუნველყოფას სექტორებში და ამცირებს საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო პერსონალის დატვირთვას, სმმ ავტომატიზირებული მართვის სისტემის და აღნიშნული კონცეფციის შესაძლებლობების საფუძველზე, რაც გამოისახება სმმ მეთვალყურეების სხვადასხვა სამუშაო პოზიციებზე გადანაწილებით და სექტორის შესაბამისი კონფიგურაციის არჩევით.

პროექტის ძირითად მიზნად და ამოცანად განისაზღვრა თბილისის საფრენოსნო საინფორმაციო რაიონში საჰაერო მოძრაობის მომსახურების უფრო ეფექტური უზრუნველყოფა და ევროპული ერთიანი ცის ინიციატივის (ATM MP) ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს ევროპის საავიაციო საზოგადოებას უსაფრთხოების, ხარჯების ეფექტურობის ზრდის ან გარემოზე ნაკლები ზეგავლენის თვალსაზრისით.

2023 წლის მაისის თვიდან ძალაში შევიდა ქუთაისის და ბათუმის საკვანძო სამეთვალყურეო რაიონის ჰორიზონტალური და ვერტიკალური საზღვრების ცვლილება, რამაც ასევე გამოიწვია რაიონული ცენტრის ვერტიკალური საზღვრების ცვლილება. ახალი განზომილებების გათვალისწინებით დასრულდა საჰაერო მოძრაობის ნაკადების გამტარუნარიოანობის გადათვლის პროცესი და გამტარუნარიანობის ახალი ნიშნულები ხელმისაწვდომია აღნიშნული პროექტის ძალში შესვლის თარიღიდან.

გარემოს დაცვა (ENV)

ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების კვლევის (SESAR) პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი თითოეულ განხორციელებულ ფრენაზე ავიაციის გარემოზე ზეგავლენის 10 პროცენტით შემცირებაა. ქვემოთ მოცემულ სურათზე ნათლად ჩანს, ფრენის სხვადასხვა ეტაპზე, როგორ შეუძლია არსებული ტექნოლოგიების უფრო ეფექტურად გამოყენებას და მწვანე პროცედურების დანერგვას CO_2 ემისიის შემცირება. საჰაერო მოძრაობის ორგანიზების სისტემის მოდერნიზაციის მიზნით SESAR-ის მიერ შემუშავებული საშუალებები, როგორც ქვედა სურათიდან ჩანს, ფრენის სხვადასხვა ეტაპზე საწვავის დაზოგვის და შესაბამისად CO_2 ემისიის შემცირების საშუალებას იძლევა.

მიმდინარე ეტაპზე საჰაერო ხომალდი ხშირ შემთხვევაში მიჰყვება წინასწარ განსაზღვრულ საჰაერო კორიდორს, რომელიც ფრენის მარშრუტს აუცილებელზე მეტად ზრდის. დანიშნულების ადგილზე მოფრენისას, საჰაერო ხომალდს შეიძლება მოუწიოს მოცდის არეში წრეზე წასვლა ან დაფრენის სლოტის მოლოდინში განახორციელოს ეტაპობრივი დაშვება. ყველა ეს ფაქტორი ზრდის საავიაციო საწვავის მოხმარებას და შესაბამისად იწვევს სათბურის გაზების ემისიას და გარემოს დაბინძურებას. SESAR-ის ტექნოლოგიის, უფრო პირდაპირი მარშრუტებისა და დაბრკოლებების გარეშე საჰაერო ხომალდის ასვლისა და დაშვების ოპერაციების განხორციელებით შესაძლებელი გახდება რიგი ნაკლოვანებების ნაწილობრივი აღმოფხვრა.

2019 წელს გამართული ICAO-ს ასამბლეის გადაწყვეტილება ჩამოყალიბდა მის მერვე დამტკიცებულ იმ დებულების საფუძველზე, რომელიც განიხილავს გლობალურ საბაზრო პროცესებზე დაფუძნებული ღონისძიებების (GMBM) იმპლემენტაციას საერთაშორისო ავიაციის ნახშირორჟანგის ემისიის შემცირებისა და კომპენსაციის სისტემის (CORSIA) სახით. ეს უკანასკნელი განიხილება იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომელიც ასევე მოიცავს საჰაერო ხომალდის ტექნოლოგიებს, ოპერაციულ გაუმჯობესებებს და მდგრად საავიაციო საწვავს (Sustainable aviation fuel - SAF), იმისათვის, რათა მიღწეული იქნას ICAO-ს გლობალური ამბიციური მიზნები.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე გამოსახულია საქართველოს რეალობაში CO_2-ის დინამიკა ფრენებთან მიმართებაში 2018-2022 წლების მიხედვით პროცენტულ და აბსოლუტურ მაჩვენებლებში.

საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახური მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის, უსაფრთხოების და საჰაერო ხომალდის ფრენის ყველა ეტაპზე ოპერაციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გლობალურ და რეგიონალურ გეგმებში გაწერილ სხვადასხვა სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათის არსებით საოპერაციო ცვლილებებს, რომელიც საბოლოო ჯამში ევროპის საჰაერო სივრცეში ინტეგრიერებას და საქართველოში SESAR-ის ხედვის „ციფრული ევროპული ცისკენ“ განხორციელებას ისახავს მიზნად. ქვემოთ წარმოდგენილია ბოლო წლებში განხორვცილებული პროექტები, რომლებიც დადებით ასახვას ჰპოვებს გარემოზე ავიაციის უარყოფითი ზეგავლენის შემცირების, გამტარუნარიანობისა და უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მარშრუტებისგან თავისუფალი საჰაერო სივრცე (FRASC)

FRASC-ის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მარშრუტებისგან თავისუფალ საჰაერო სივრცეში, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებულ მომიჯნავე საზღვრებზე განხორციელებული ოპერაციების ჩათვლით, ავიაკომპანიებს მისცეს დაგეგმვადი პირდაპირი ტრაექტორიების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა. ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში მარშრუტებისგან თავისუფალ საჰაერო სივრცეს (FRASC) და მეზობელ საჰაერო სივრცეებს შორის ფრენების ეფექტურობის გაზრდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მარშრუტებისგან თავისუფალი საჰაერო სივრცე დაინერგება მეზობელ ქვეყნებში. ამის გარდა, პროექტის დანერგვა ავიაკომპანიებს ფრენების პირდაპირი მარშრუტების დაგეგმვისა და საჰაერო ხომალდის ტრაექტორიის შესაბამისად გაუმჯობესებული დანახარჯთა ეფექტიანობისა და საჰაერო მოძრაობის ნაკადების უკეთესი პროგნოზირების საშუალებას მისცემს.

FRASC-ის პროექტის ფარგლებში მომიჯნავე საზღვრებზე მარშრუტებისაგან თავისუფალი საჰაერო სივრცის ოპერაციების დანერგვა რეგიონში ავიაციის წინაშე ეფექტურობის, გამტარუნარიანობის და გარემოსდაცვის მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზაა.

გაძლიერებული ზედამხედველობა (Mode S)

აღნიშნული ცვლილების შედეგად შპს „საქაერონავიგაციაში“ დაინერგა ყველა საჭირო პროცედურა, განხორციელდა კადრების გადამზადება, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო მოძრაობის მომსახურება აწარმოოს ერთიანი ევროპული ცის ფარგლებში არსებული სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით და დანერგვის პირობებში, რასაც ევროპის ავიაცია ხელშესახებ სარგებელთან, გაუმჯობესებული უსაფრთხოება, გაზრდილი დანახარჯთა ეფექტიანობა და გარემოზე გავლენის შემცირებამდე მიჰყავს. აღნიშნულს უზრუნველყოფს სარადიოლოკაციო მონაცემების გაუმჯობესებული მახასიათებლები, სადაც Mode S-ის შერჩევითი სარადიოლოკაციო დასხივება და უფრო ზუსტი სარადარო ინფორმაცია არსებულ სარადარო სისტემასთან (SSR, MSSR) შედარებით, სინქრონულ უზუსტობებს გამორიცხავს და რადარების ანარეკლების შემთხვევაში აადვილებს საჰაერო ხომალდის იდენტიფიცირებას.

CHMI (CITO) კომპიუტერი - ადამიანი ინტერფეისის დანერგვა ბათუმის და ქუთაისის კოშკურაზე

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ისეთი პრობლემების მოგვარებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს გამფრენ საჰაერო ხომალდებზე გაცემული სლოტების დაცვის გაუმჯობესებას და მისი მონიტორინგის პროცესს და უზრუნველყოფს სმმ ორგანოს საჰაერო მოძრაობის ნაკადების რეგულირების სერვისის სწორად მართვა.

2022 წლის ბიზნეს-გეგმის შესრულების მიმოხილვა

ქვემოთ მოტანილ ორ ცხრილში სააერნაოსნო მომსახურების კატეგორიების (მარშრუტი და ტერმინალი) მიხედვით წარმოდგენილია 2022 წელს საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებული ინსტრუმენტული ფრენების სტრუქტურული შედარება 2021 წლის მონაცემებთან, ფრენის რიცხვის, საჰაერო ხომალდების მაქსიმალური ასაფრენი მასის, ნაფრენი დისტანციისა და მომსახურების ერთეულის მიხედვით.

თვე	მარშრუტზე ფრენების მონაცემები 2021				მარშრუტზე ფრენების მონაცემები 2022				ცვლილება (%)			
	რ-ბა	მანძილი	წონა	SU	რ-ბა	მანძილი	წონა	SU	რ-ბა	მანძილი	წონა	SU
1	4 088	13 285.03	8 118.84	27 752.66	6 318	15 517.91	9 721.42	25 798.63	55%	17%	20%	-7%
2	4 316	13 356.49	8 250.67	27 175.09	5 854	15 243.50	9 169.29	26 016.21	36%	14%	11%	-4%
3	5 755	17 630.00	10 696.69	34 957.52	9 430	27 417.12	16 627.23	53 180.52	64%	56%	55%	52%
4	6 242	18 536.85	11 289.63	36 106.80	9 107	27 218.20	16 473.95	54 071.78	46%	47%	46%	50%
5	7 257	20 628.52	12 818.13	39 811.72	10 525	30 276.36	18 353.60	58 332.61	45%	47%	43%	47%
6	8 653	23 804.85	14 744.72	44 412.16	12 003	34 807.60	20 487.13	65 057.74	39%	46%	39%	46%
7	10 287	25 686.87	16 466.69	45 414.70	14 776	41 756.73	24 836.77	77 439.64	44%	63%	51%	71%
8	9 639	23 921.93	14 876.55	40 230.91	15 617	43 790.10	26 168.13	80 912.94	62%	83%	76%	101%
9	7 349	17 186.69	10 818.76	27 257.59	16 663	48 161.17	28 543.07	89 892.24	127%	180%	164%	230%
10	7 320	17 380.03	11 132.12	28 431.53	16 205	47 747.69	28 522.55	90 925.71	121%	175%	156%	220%
11	6 856	17 371.31	10 620.62	29 150.03	13 601	39 549.48	24 060.25	76 074.93	98%	128%	127%	161%
12	7 159	17 439.21	11 166.38	29 526.57	14 094	39 371.44	24 548.43	74 909.81	97%	126%	120%	154%
სულ	**84 921**	**226 227.78**	**140 999.82**	**410 227.30**	**144 193**	**410 857.30**	**247 511.81**	**772 612.75**	**70%**	**82%**	**76%**	**88%**

2021 წელთან შედარებით 2022 წელს მარშრუტზე ფრენების რაოდენობის, დისტანციისა და წონის კოეფიციენტების არსებით ზრდასთან ერთად, ადექვატურად იზრდება მომსახურების ერთეულიც - 88 პროცენტი, რაც 2022 წელს პანდემიის შემდგომ ფრენების ინტენსიურ აღდგენის პერიოდს უკავშირდება.

თვე	ტერმინალზე ფრენების მონაცემები 2021				ტერმინალზე ფრენების მონაცემები 2022				ცვლილება (%)			
	რ-ბა	მანძილი	წონა	SU	რ-ბა	მანძილი	წონა	SU	რ-ბა	მანძილი	წონა	SU
1	599	-	479.83	479.83	2 630	-	1 818.73	1 818.73	339%	-	279%	279%
2	772	-	527.57	527.57	2 334	-	1 562.61	1 562.61	202%	-	196%	196%
3	1 194	-	860.12	860.12	2 977	-	2 041.99	2 041.99	149%	-	137%	137%
4	1 557	-	1 093.49	1 093.49	2 860	-	1 947.27	1 947.27	84%	-	78%	78%
5	2 216	-	1 485.94	1 485.94	3 459	-	2 312.16	2 312.16	56%	-	56%	56%
6	2 916	-	1 906.22	1 906.22	3 534	-	2 282.80	2 282.80	21%	-	20%	20%
7	4 134	-	2 624.63	2 624.63	4 664	-	2 969.61	2 969.61	13%	-	13%	13%
8	4 184	-	2 741.00	2 741.00	5 042	-	3 198.36	3 198.36	21%	-	17%	17%
9	3 406	-	2 213.79	2 213.79	4 386	-	2 791.08	2 791.08	29%	-	26%	26%
10	3 171	-	2 159.77	2 159.77	3 668	-	2 450.43	2 450.43	16%	-	13%	13%
11	2 638	-	1 781.71	1 781.71	3 197	-	2 180.29	2 180.29	21%	-	22%	22%
12	2 861	-	1 964.82	1 964.82	3 503	-	2 378.58	2 378.58	22%	-	21%	21%
სულ	**29 648**	-	**19 838.89**	**19 838.89**	**42 254.00**	**-**	**27 933.91**	**27 933.91**	**43%**	**-**	**41%**	**41%**

დაკავებული ბაზრის სეგმენტი

2022 წლის შემოსავლების შესრულების მიმოხილვა

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე. ძირითადი ეკონომიკური შედეგები დამყარებულია საერნაოსნო მომსახურების გაწევის შედეგად და ზოგიერთი არაძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე.

შპს „საქაერონავიგაციისათვის“, როგორც საერნაოსნო მომსახურების პროვაიდერი კომპანიისთვის შემოსავლის უმთავრესი წყარო მარშრუტისა და ტერმინალის საერნაოსნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალია, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებულ ფრენების რიცხვზე, ფრენის მანძილზე და საჰაერო ხომალდის ასაფრენ მასაზეა დამოკიდებული.

საანგარიშგებო პერიოდში გაზრდილი ფრენების კვალობაზე, სახეზეა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა კომპანიის საშემოსავლო ნაწილის თითქმის ყველა კომპონენტში, რასაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ქვემოთ მოცემული ცხრილი, სადაც წარმოდგენილია საანგარიშგებო წლის შედარება როგორც წინა 2021 წლის ფაქტიურ შესრულებასთან, ასევე 2022 საგეგმო სიდიდეებთან.

შემოსავლის კატეგორია	2022 და 2021 წლების ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების ანალიზი				
	2021 ფაქტი	2022 გეგმა	2022 ფაქტი	2022 ფაქტი / 2021 ფაქტი	2022 ფაქტი/ 2022 გეგმა
შემოსავლები	**78,584,603.12**	**115,491,228.77**	**159,889,496.14**	**203%**	**138%**
საერნაოსნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	76,476,693.96	114,356,228.77	158,869,692.14	208%	139%
საერნაოსნო შემოსავალი მარშრუტიდან	49,192,807.07	80,988,148.77	127,071,949.66	**258%**	**157%**
საერნაოსნო შემოსავალი ტერმინალიდან	27,283,886.89	33,368,080.00	31,797,742.48	**117%**	**95%**
სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვები	28,376.72	35,000.00	26,750.98	94%	76%
მიღებული სუბსიდიები და გრანტები	0.00	0.00	0.00	0%	0%
სხვა შემოსავლები	2,079,532.44	1,100,000.00	993,053.02	48%	90%

კომპანიის საშემოსავლო ნაწილის მკვეთრი ზრდა გვაქვს სახეზე 2021 წლის ფაქტიურ სიდიდეებთან შედარებით. მთლიანი საშემოსავლო ნაწილის ორმაგი ზრდა (203 პროცენტი) ძირითადად განპირობებულია მისი მთავარი კომპონენტის – საერნაოსნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის გაორმაგებით (208 პროცენტი), რომელიც თავის მხრივ ძირითადად გამოწვეულია ფრენების აღდგენის ინტენსიურობის ზრდით როგორც მარშრუტის (258 პროცენტი) ასევე ტერმინალის (117 პროცენტი) ნაწილში.

კომპანიის 2022 წლის შემოსავლის გეგმა 115,492 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ხოლო საანგარიშგებო წლის ფაქტობრივმა შესრულებამ 159,890 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დაგეგმილი წლიური მაჩვენებლის 138 პროცენტი.

როგორც შემოსავლების კატეგორიათა ზემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, 2022 წლის განმავლობაში მარშრუტისა და ტერმინალის საერნაოსნო მომსახურებიდან მისაღები შემოსავლის გეგმა, შესაბამისად 80,988,148.77 და 33,368,080.00 ლარით იყო განსაზღვრული, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შესაბამისად 127,071,949.66 ლარი და 31,797,742.48 ლარი შეადგინა, ანუ დაგეგმილი წლიური მაჩვენებლის 157 და 95 პროცენტი. ანუ, კომპანიის ძირითადი საშემოსავლო წყაროს _ საერნაოსნო შემოსავლის 139 პროცენტიანი შესრულების სიდიდე უმთავრესად ზემოაღნიშნული მოვლენის შედეგია.

2021 წლის განმავლობაში არაძირითადი საქმიანობიდან მისაღები შემოსავლის („სხვა შემოსავლები“) წლიური გეგმა 1,100,000.00 ლარით იყო განსაზღვრული. ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ კი 993,053.02 ლარი შეადგინა, ანუ წლიური საგეგმო მაჩვენებლის 90 პროცენტი. უნდა შევნიშნოთ, რომ შემოსავლის ამ კატეგორიის წილი შემოსავლის მთლიან მაჩვენებელში უმცირესია (1.0 პროცენტი), მისი შესრულების ეფექტი შედეგობრივ შემოსავალზე უმნიშვნელოა.

იგივე შეიძლება ითქვას „სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვების“ (0.01 პროცენტი მთლიან შემოსავალში) ნაწილზე, რომელიც საერნაოსნო და მეტეოროლოგიური ინფორმაციის, ასევე კავშირგაბმულობის მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან შედგება. Mმისი 2022 წლის საგეგმო სიდიდე 35.00 ათასი ლარი იყო, და შესრულებამ კი 76 პროცენტი შეადგინა.

2022 წლის ხარჯების შესრულების მიმოხილვა

2021 წლის ფაქტიურ შესრულებასთან და 2022 წლის საგეგმო სიდიდეებთან საანგარიშგებო წლის ხარჯების შესრულება ქვემოთმოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

ხარჯის კატეგორიები	2022 და 2021 წლების ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ანალიზი				
	2021 ფაქტი	2022 გეგმა	2022 ფაქტი	2022 ფაქტი / 2021 ფაქტი	2022 ფაქტი/ 2022 გეგმა
ხარჯები	**88,167,605.44**	**101,740,518.59**	**93,920,847.94**	**107%**	92%
შრომის ანაზღაურება	44,998,786.63	50,608,483.36	50,436,806.80	112%	100%
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	12,028,576.51	20,855,741.40	14,065,338.10	117%	67%
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	15,745,086.22	18,294,119.83	16,191,836.01	103%	89%
პროცენტები	2,735,520.63	1,263,684.61	1,453,675.73	53%	115%
სოციალური უზრუნველყოფა	1,985,071.82	2,581,391.50	2,557,466.31	129%	99%
სხვა ხარჯები	10,674,563.63	8,137,097.90	9,215,724.99	86%	113%

2022 წლის მთლიანი ხარჯი მხოლოდ 7 პროცენტით აღემატება 2021 წლის შესრულებას. 2022 წლის ფაქტობრივი ხარჯები დაგეგმილის 92 პროცენტს შეადგენს.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების შესრულება საანგარიშგებო პერიოდში 100 პროცენტია.

საქონლისა და მომსახურების გამოყენება

2022 წლის განმავლობაში საქონელსა და მომსახურებაზე გასაწევი ხარჯის საგეგმო მაჩვენებელი 20,855,741.40 ლარით იყო განსაზღვრული, რაც მთლიანი ხარჯის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს. ფაქტობრივი შესრულება კი 14,065,338.10 ლარი, ანუ დაგეგმილი წლიური მაჩვენებლის 67 პროცენტია.

ყველა სხვა კომპონენტს შორის, საქონლისა და მომსახურების გამოყენების ხარჯის შესრულება შედარებით მცირეა. მოცემული ხარჯის კატეგორიის ასეთი შესრულება გამოწვეულია მისი ზოგიერთი ქვეკომპონენტის (რომელთა წილი შედარებით მაღალია მთლიან ხარჯში) გეგმასთან მეტნაკლები ჩამორჩენით.

კერძოდ, 81 პროცენტით შესრულდა მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯი (37.4 პროცენტი მთლიანი ხარჯის), კადრების მოზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების ხარჯების შესრულება 27 პროცენტია (10 პროცენტიანი წილით), რაც გამოწვეულია ავიამეთვალყურეთა ახალი კადრების აყვანის მომდევნო - 2023 წელს გადაწევით, რომელთა მომზადება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის შესრულება მხოლოდ 18 პროცენტია (მთლიან ხარჯში 14 პროცენტიანი წილით), ვინაიდან ცვეთიდან გამომდინარე დღის წესრიგში არ დამდგარა მათი გარკვეული ნაწილის შეძენის საჭიროება და ა.შ.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

2022 წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთის) საგეგმო მაჩვენებელი 18,294 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც მთლიანი ხარჯის 18 პროცენტია, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 16,192 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, შესრულება 89 პროცენტია.

სოციალური უზრუნველყოფა

2022 წლის განმავლობაში სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევი ხარჯის საგეგმო მაჩვენებელი 2,581 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, რაც მთლიანი ხარჯის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდის ფაქტობრივმა შესრულებამ 2,557 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დაგეგმილი წლიური მაჩვენებლის 99 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯის მოცემული კომპონენტში ასახულია პერსონალის დაზღვევის ხარჯის მაჩვენებელიც.

პროცენტები

საპროცენტო ხარჯის საგეგმო სიდიდე შეადგენდა 1,264 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის ფაქტი 1,454 ათასი ლარია, ანუ 115 პროცენტი. ხარჯების მოცემულ კატეგორიაში ფაქტობრივ და საგეგმო მაჩვენებლებს შორის დაფიქსირებული სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მოცემული საანალიზო პერიოდის დასაწყისში განხორციელდა თი ბი სი ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულების წინსწრებით დაფარვა.

საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის შექმნილი სურათის უფრო სიღრმისეულად აღქმისათვის დამატებით განვმარტავთ შემდეგს: შპს „საქაერონავიგაცია“, მიეკუთვნება სპეციფიკური დარგების სფეროს, რაც, თავის მხრივ ხსნის იმ გარემოებას, რომ ხარჯების უმეტესობა, ისევე როგორც შემოსავლის ზოგიერთი კატეგორია, არ არის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურების მოცულობასთან (ანუ, წარმოადგენს ფიქსირებულ ხარჯს). სწორედ ამით აიხსნება გარკვეული დისბალანსი შემოსავალი/ხარჯის თანაფარდობის შეფასებისას.

სხვა ხარჯი

სხვა ხარჯის საგეგმო მაჩვენებელის შესრულება 2022 წელს 113 პროცენტია.

კაპიტალური პროექტები

2022 წლისთვის კომპანიის საინვესტიციო გეგმა 27,350 ათასი ლარით იყო განსაზღვრული ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 10,550 ათასი ლარი შეადგინა.

კაპიტალური პროექტების გრაფიკი, კომპანიაში არსებული ყველა ფუნქციური მიმართულების მიხედვით არის ჩაშლილი ფაქტობრივი და საგეგმო წლების მიხედვით.

საინვესტიციო პროექტების შეუსრულებლობა ძირითადად განპირობებული იყო საინვესტიციო პროექტების გადავადებით პოსტ-პანდემიური პერიოდის გამო.

სხვა ეკონომიკური ნაკადები

სხვა ეკონომიკური ნაკადების შედეგად 2022 წლის კომპანიის წმინდა ღირებულება გაიზარდა 331,770.60 ლარით.

ფლობიდან მიღებული მოგება/ზარალი

ვალიუტა და დეპოზიტების კატეგორია კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგებით გაიზარდა 255,699.63 ლარით.

აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილება

აქტივების მოცულობითი ცვლილებების შედეგად კომპანიის წმინდა ღირებულება გაიზარდა 76,070.97 ლარით. კომპანიის კაპიტალში სახლემწიფოს მხრიდან განხორციელდა 63,428.40 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის შემოტანა. ამასთან განხორციელდა 12,928 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კომპანიის ბალანსზე აყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის გამო 2022 წლის კაპიტალური პროექტების შესრულება მხოლოდ 10,550 ათას ლარს შეადგენს.

ხარჯების ეფექტიანობა

2014 წელს საქართველოს საერნაოსნო მომსახურების უსაფრთხოების ევროპულ ორგანიზაციაში (ევროკონტროლი) გაწევრიანების შემდეგ შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ საჰაერო მოძრაობის მართვაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის შეფასება ევროპის ქვეყნებისთვის დადგენილი ერთიანი მეთოდოლოგიითა და ეფექტიანობის შეფასების დამოუკიდებელი სისტემის მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნული სისტემა საჰაერო მოძრაობის მართვის ყველა ასპექტს მოიცავს და ყოველწლიურად საჰაერო მოძრაობის მართვაზე ევროკონტორლის წევრი ქვეყნების მიერ გაწეული დანახარჯების შედარებითი ანგარიშის გამოცემას ითვალისწინებს, რომელიც 38 საერნაოსნო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას მოიცავს.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების კონცეპტუალური სისტემა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში.

2023 წლის მაისში საჰაერო მოძრაობის მართვაზე გაწეული ხარჯების (ACE) 2021 წლის შედარებითი ანგარიში იქნა გამოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ACE 2021 შედარებითი ანგარიში იხილავს 2021 საანგარიშგებო წლის მონაცემებს, მაშინ როდესაც წინამდებარე მმართველობითი ანგარიშის განხილვის ობიექტია 2022 წლის მონაცემები. ACE 2022 შედარებითი ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება 2024 წლის მაისში. მიუხედავად ამისა, კომპანიას აქვს 2022 წლის წინასწარი მონაცემები, რომელიც 2016-2021 წლებთან ერთად ქვემოთ არის გაანალიზებული. 2022 წლის მონაცემების ვალიდაციის პროცესი დაიწყო 2023 წლის 1 ივლისს PRU-სთვის 2022 წლის ანგარიშის და კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, რომელიც წინასწარ გაწერილი და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად დასრულდება 2024 წლის მაისში.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში მოცემულია ფინანსური/ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლის დინამიკა 2016-2021 წლების მიხედვით.

Financial cost-effectiveness indicator – ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი გახლავთ ფინანსური დანახარჯი ერთ კომბინირებულ ფრენა საათზე, რომელიც საჰაერო მოძრაობის ორგანიზებაზე გაწეული დანახარჯების[1] (ATM/CNS provision costs) კომბინირებულ ფრენა საათების (Composite flight hours) ჯამზე გაყოფის შედეგად მიიღება. 2021 წლის მონაცემების მიხედვით მოცემული მაჩვენებელი შპს "საქაერონავიგაციისათვის" 2020 წელთან (797 ევრო) შედარებით 28.1 პროცენტით შემცირდა და 573 ევრო შეადგინა, რაც ევროპის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე (663 ევრო) 13.6 პროცენტით დაბალია.

2021 წლის ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი ევროკონტროლის წევრი ქვეყნების მიხედვით

2021 წელს ფინანსური დანახარჯი ერთ ფრენა საათზე 2020 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა 28.1 პროცენტით.

[1] შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე არ მოიცავს მეტეოროლოგიურ მომსახურებაზე, ევროკონტროლის საწევრო შენატანზე და სახელმწიფოს მხრიდან გაწეულ დანახარჯებს.

- ავიამეთვალყურეთა პროდუქტიულობა 32.8 პროცენტით გაიზარდა და საათში ავიამეთვალყურეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 2.3 პროცენტით. აღნიშნულის შედეგად ერთ კომბინირებულ ფრენა საათზე ავიამეთვალყურის შრომის ანაზღაურება 2020 წელთან შედარებით 23 პროცენტით არის შემცირებული.
- კომბინირებული ფრენა საათების 32.8 პროცენტით ზრდის პირობებში, დამხმარე ხარჯები შემცირდა 5.4 პროცენტით, რის შედეგადაც დამხმარე ხარჯები ერთ კომბინირებულ ფრენა საათზე შემცირდა 28.8 პროცენტით.

Economic cost-effectiveness indicator - ეკონომიკურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი გახლავთ ეკონომიკური დანახარჯი ერთ კომბინირებულ ფრენა საათზე, რომელიც საჰაერო მოძრაობის ორგანიზებაზე გაწეული დანახარჯების და საჰაერო მოძრაობის ნაკადების ორგანიზების პროცესით გამოწვეული ფრენების შეფერხებაზე გაწეული დანახარჯების (Costs of ATM delays) ჯამის კომბინირებულ ფრენა საათების ჯამზე გაყოფის შედეგად მიიღება, საჰაერო მოძრაობის ორგანიზებაზე გაწეულ დანახარჯთა შედარების ანგარიშში ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოყენებული სტანდარტული ძირითადი მაჩვენებელია.

-იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს თბილისის საფრენოსნო-საინფორმაციო რაიონში საჰაერო მოძრაობის ნაკადების ორგანიზების პროცესით გამოწვეული ფრენების შეფერხებები არ დაფიქსირებულა, მაშინ როდესაც ევროპის საჰაერო მოძრაობის ქსელში 2021 წელს ფრენების შეფერხებამ ჯამში 2.9 მილიონი წუთი შეადგინა, 2021 წელს ეკონომიკურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელი ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებელს გაუტოლდა (573 ევრო), რაც 16.8 პროცენტით დაბალია ევროპის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე (689 ევრო).

რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწეებულაბაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშრებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკური ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორული დავალიანებების ამოღებადობაზე.

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან და მიმდინარე დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ეპიდემიით გამოწვეული საჰაერო მოძრაობის მკვეთრი ვარდნის გამო, 2020 წელს კომპანიაში ლიკვიდურობის რისკ ფაქტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიამ ფინანსური ლიკვიდობის რისკისა და ფინანსური სახსრების დეფიციტის შემცირების მიზნით მოლაპარაკებები გამართა კომერციულ ბანკებთან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. აღნიშნული მოლაპარაკებების ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან გაფორმდა ხუთ წლიანი სასესხო ხელშეკრულება კომპანიის საოპერაციო ხარჯების შეუფერხებლად დაფინანსების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის დეკემბრისთვის კომპაიამ შეძლო ფულადი სახსრების აკუმულირება და სრულიად განახორციელა EBRD-ს სესხის დაფარვა ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით და ნაწილობრივ თიბისი ბანკიდან საკრედიტო ხაზის ფარგლებში მოზიდული ფინანსური რესურსის გამოყენებით. 2022 წლის განმავლობაში კი მოახერხა საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებული ვალდებულების სრულიად დაფარვა.

პერსონალი

2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა (805) 2021 წელთან შედარებით ერთი ერთეულით გაიზარდა.

კადრების პროაქტიული დაგეგმვა

კომპანიაში პერსონალის დინამიკის ანალიზი ხორციელდება ორი ძირითადი ფუნქციის - მეთავალყურეებისა და დამხმარე პერსონალის მიხედვით.

2022 წელს მეთვალყურეების რაოდენობა (110 ავიამეთვალყურე) 2021 წელთან შედარებით არ შეცვლილა. 2022 წელს არსებული დამხმარე პერსონალის რაოდენობა (695 ერთეული) 1 თანამშრომლით არის გაზრდილი.

თანამშრომელთა კატეგორია	**სულ**
ATCO-ები OPS-ში	102
ATCO-ები სხვა მოვალეობებზე	8
AB-inito სტაჟიორი	17
სტაჟიორები სამუშაო ადგილზე	0
ATC ასისტენტები	15
OPS მხარდაჭერა (არა-ATCO-ები)	18
ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალი ოპერატიული მოვლის, მონიტორინგისა და კონტროლისთვის	259
ტექნიკური დახმარების პერსონალი დაგეგმისა და განვითარებისთვის	14
ადმინისტრაცია	171
დამხმარე სერვისების პერსონალი (მაგ: MET, AIS, SAR)	112
სხვა	89
სულ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა	805

ტრენინგი

კომპანიაში 2014 წლიდან ფუნქციონიერებს ტრენინგის სამსახური, რომელიც საქმის წარმოებას ახორციელებს სამსახურის დებულებით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რეგულაციების და მოთხოვნების შესაბამისად. სამსახურის თანამშრომლებმა საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშავეს სასწავლო პროცესისა და პროცედურების სახელმძღვანელო და დაინერგა ხარისხის მართვის სისტემა.

სასწავლო დაწესებულების ინსტრუქტორ/მასწავლებლები საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად გადიან მომზადება-გადამზადებას ევროპის სხვადასხვა სასწავლო ცენტრებში. სპეციალური მომზადების შემდეგ თანამშრომლებს ინსტრუქტორის/მასწავლებლის მოწმობის მიღების მიზნით ტრენინგების სამსახური რეკომენდაციას უწევს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან.

2022 წლის განმავლობაში მომატებული ფრენების პირობებში საჰაერო მოძრაობის მართვის უსაფრხოების შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად განხორციელდა 17 ახალი ავიამეთვალყურის აყვანა და გადამზადება. 2023 წელს დასრულდება დამატებით 15 ავიამეთვალყურის აყვანა. 2023 წელს ასევე იგეგმება 10 ფსევდო პილოტის აყვანა და გადამზადება.

სოციალური დიალოგი

კომპანიაში 1993 წლიდან არსებობს პროფესიული კავშირი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს სამეწარმეო და (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრში. კავშირის მიზანია საქართველოსა და საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში უზრუნველყოს კომპანიაში დასაქმებულ პირთა უფლებების დაცვა და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა კომუნიკაციას პროფესიულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტლებების მიღების პროცესში.

პროფესიული კავშირი კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა 50 პროცენტზე მეტს აერთიანებს და წელიწადში ატარებს დელეგატების რამდენიმე შეხვედრას, რომლის შედეგებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აისახება შეხვედრის ოქმში.

ერთიანი სამართლებრივი ქოლგის ქვეშ ფუნქციონირების მიუხედავად პროფესიული კავშირის შიგნით არსებობს ავიამეთვლყურეთა, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ჯგუფები, რომლის ფარგლებშიც უფრო მოქნილად და ეფექტურად ხერხდება პროფესიული საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოში არსებულ ავიამეთვალყურეთა პროფესიული კავშირი საერთაშორისო ავიამეთვალყურეთა ასოციაციის (IFATCA) წევრია. შპს „საქაერონვიგაციის“ სრული მხარდაჭერით სულ მცირე ორი თანამშრომელი ჩართულია ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებულ კონფერენციებში. აღნიშნული შეხვედრების დროს განიხილება გლობალური საკითხები, სადაც საქართველოს დელეგატებს საშუალება ეძლევათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროფესიული საკითხების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით განხორციელებულ ხმის მიცემის პროცესში და თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ დანარჩენ მსოფლიოს.

2019 წლის ივლისში ტექნიკური კომპლექსის პროფესიული კავშირის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა და საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკოსთა ასოციაციაში (IFATSEA) გაწევრიანების მიზნით დასამტკიცებლად წარადგინა წესდება (charter).

სოციალური შეღავათები

საქაერონავიგაციის თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევით. მათ ასევე საშუალება ეძლევათ ასაკის შეუზღუდავად განახორციელონ ოჯახის წევრების დაზღვევა. კომპანია წარმოადგენს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია და საშუალებას აძლევს უფლებამოსილ თანამშრომელს ისარგებლოს განსაკუთრებული საპენსიო შენატანების სოციალური პაკეტით. არასხელმწიფო საპენსიო სქემის შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ განაყოფში.

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის

მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

bakertilly

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

შპს „საქაერონავიგაციის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს “საქაერონავიგაციის” არასახელმწიფო საპენსიო სქემის (შემდგომში - კომპანია) ხელმძღვანელობამ მოამზადა მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) და გადმოგვცა იგი ჩვენ 2023 წლის 23 სექტემბერს.

ჩვენ ჩავატარეთ შპს “საქაერონავიგაციის” არასახელმწიფო საპენსიო სქემის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნების (ერთობლივად, „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგრიშგება“) აუდიტი და 2023 წლის 22 მაისს გავეცით ჩვენი დასკვნა. აღნიშნულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხებოდა იმ სხვა ინფორმაციას, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობით ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთანავე, ჩვენი პასუხისმგებლობაა, კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვაში) კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

სპეციალური დანიშნულების აუდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ მომხდარი მოვლენების ეფექტს. ამ მოვლენების ეფექტი, რომელიც მოცემულია მმართველობით ანგარიშში (საქმიანობის მიმოხილვაში), არ არის აუდირებული ჩვენ მიერ.

ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

აუდიტორის პასუხისმგებლობის პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობის მეორე პარაგრაფთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით
2023 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

აუდიტორის პასუხისმგებლობის პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობის მეორე პარაგრაფთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია" - ს სახელით
2023 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

დამსაქმებლის არასახელმწიფო საპენსიო სქემა

2022 წელს საპენსიო სქემის წლიური მომგებიანობა იყო +9.44%. შექმნის დღიდან საპენსიო სქემის წლიური მომგებიანობა არის +9.81%, ხოლო მოგება 6,279,523 ლარამდე გაიზარდა.

საპენსიო სქემის მონაწილეთა რაოდენობა 2022 წლის ბოლოს - 585 მონაწილე (73%)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021-2022 წლებში შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის ფინანსური მდგომარეობა და საპენსიო სქემის ძირითადი კატეგორიების მიხედვით მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები.

	31/12/2022	31/12/2021
ფინანსური მდგომარეობა		
საპენსიო სქემის კაპიტალი	2,000,000	2,000,000
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	27,329,445	20,435,138
სოციალური შენატანები	5,044,127	4,413,436
გადახდილი სარგებელი	366,832	530,341
საინვესტიციო მოგება	2,217,012	1,767,707
სოციალური შენატანები		
დამსაქმებლის სოციალური შენატანი (%)	18.0%	18.0%
მონაწილის სოციალური შენატანი (%)	7.0%	7.0%
ბენეფიციარები	18	6
გადახდილი სარგებელი/მონაწილეთა რაოდენობა	8	22
მონაწილეები	585	580
საინვესტიციო მოგება		
საინვესტიციო მოგება შექმნის დღიდან	6,279,523	4,062,511
გაწლიურებული მომგებიანობა შექმნის დღიდან	9.8%	10.0%
პერიოდის მომგებიანობა	9.4%	10.3%

▶ საპენსიო სქემის 2021 წლის ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე WWW.AIRNAV.GE

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საპენსიო სქემა იმართება შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესის შესაბამისად. საპენსიო სქემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, საკანონმდებლო და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე და მისი ადმინისტრირება ხორციელდება შპს „საქაერონავიგაციის“ სტრუქტურული ერთეულის, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭო საპენსიო სქემის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც ზედამხედველობს შპს „საქაერონავიგაციის“ საპენსიო სქემის მონაწილეთა არასახელმწიფო პენსიებით უზრუნველყოფას და იცავს მათ ინტერესებს არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადგენს საპენსიო სქემის წესებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საინვესტიციო კომიტეტი წარმოადგენს შპს „საქაერონავიგაციის“, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, მიერ შექმნილ მმართველ ორგანოს, რომელსაც შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივებით განხორციელებული ინვესტიციების ზედამხედველობა ევალება.

აქტივების მმართველი კომპანია - ჩატარებული კონკურსის შედეგად გაფორმდა საპენსიო აქტივების მართვის ხელშეკრულება აქტივების მმართველ კომპანიასთან (სს „გალტ & თაგარტი“). აქტივების მმართველი კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: www.galtandtaggart.com

საინვესტიციო სტრატეგია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანი არის უზრუნველყოს საპენსიო აქტივების სტაბილურობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და საქართველოში არსებული კაპიტალის ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით საპენსიო სქემის აქტივები განთავსებულია მხოლოდ ქვეყნის შიგნით ოთხი სახის ფინანსურ ინსტრუმენტში: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, კორპორაციული ობლიგაციების, დეპოზიტები და მოთხოვნამდე ანაბარი.

პროცენტული განაწილება

შესაბამისობა საინვესტიციო რეგულაციებთან

ანაბრები და სადეპოზიტო სერთიფიკატები- მაქს.90% თითოში 30%. არსებული წილი 83.81%

მიმდინარე ანგარიშები - მინ.10% თითოში 20%. არსებული წილი 10.25%, თითოში მაქსიმუმ 7.54%

სახაზინო ვალდებულებები - მაქს.30%. არსებული წილი 5.15%

დალისტული კორპ.ობლიგაციები - მაქს.15% თითოში 3%. არსებული წილი 0.79%

დაულისტავი კორპ.ობლიგაციები - მაქს.10% თითოში 2.5%. არსებული წილი 0%

დალისტული აქციები - მაქს.15% თითოში 2%. არსებული წილი 0%

საპენსიო სქემის დაფუძნებიდან და 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ნორმებთან.

ფინანსური ანგარიშები

წლიური ანგარიში

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით და უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

აღნიშნული კანონის მიხედვით შპს „საქაერონავიგაცია“ როგორც სააერნაოსნო მომსახურების მიმწოდებელი და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი კომპანია მიეკუთნება პირველი კატეგორიის საწარმოს და საზოგადოებრივი დაინტერესების პირს და ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი კომპანია ამზადებს საპენსიო სქემის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის 26-ე სტანდარტის საფუძველზე.

კომპანია საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინსტიტუციონალური ერთეულებისათვის ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ფორმატში ამზადებს და დადგენილ ვადებში წარადგენს ასევე სხვადასხვა შინაარსის ფინანსურ ანგარიშს.

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიში კომპანიისათვის და კომპანიის ფინანსებით დაინტერესებული მხარეებისათვის წარმოადგენს სხვადასხვა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ერთმანეთთან შედარებისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით გადამოწმების საშუალებას იძლევა.

2014 წლიდან საქართველოს ევროპის საერნაოსნო მომსახურების უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციაში (Eurocontrol) გაწევრიანების შემდეგ შპს „საქაერონავიგაცია“ გახდა საჰაერო მოძრაობის მართვაზე გაწეული ხარჯების ეფექტიანობის ევროპაში არსებული შეფასების სისტემის ინტეგრირებული ნაწილი, რომელიც 38 საერნაოსნო მომსახურების საწარმოს აერთიანებს და დადგენილი მეთოდოლოგიით ყოველწლიურ ანგარიშში ახდენს დანახარჯთა ეფექტიანობის შეფასებას ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის ინდიკატორის გამოყენებით. 2021 წლის მონაცემებით ფინანსურ დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებლი ევროპის საშუალო მაჩვენებელს 28.1 პროცენტით ნაკლებია.

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	128,589	134,115
არამატერიალური აქტივები	7	1,510	1,818
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		1,053	-
შეზღუდული ფულადი სახსრები და მათზე დარიცხული პროცენტების სახით გრძელვადიანი მოთხოვნა	8	2,005	2,005
სულ გრძელვადიანი აქტივები		133,157	137,938
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	5,440	4,677
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები	10	33,684	11,274
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	39,403	14,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		78,527	30,880
სულ აქტივები		211,684	168,818
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		37,263	37,200
გაუნაწილებელი მოგება		165,403	99,166
სულ საკუთარი კაპიტალი		202,666	136,366
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	2,533	17,154
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,533	17,154
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	4,379	8,879
მოკლევადიანი სესხები	12	1,127	5,486
მიღებული ავანსები		979	933
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,485	15,298
სულ ვალდებულებები		9,018	32,452
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		211,684	168,818

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	14	159,043	76,668
პერსონალის ანაზღაურება	15	(52,994)	(46,984)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(23,268)	(19,710)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(16,192)	(15,745)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	17	339	(2,040)
ფინანსური (ზარალი) ნეტო	18	(691)	(1,028)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**66,237**	**(8,839)**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,184	108,005	145,189
2021 წლის სრული ზარალი	-	(8,839)	(8,839)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	16	-	16
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,200	99,166	136,366
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,200	99,166	136,366
2022 წლის სრული მოგება	-	66,237	66,237
საწესდებო კაპიტალის ზრდა	63	-	63
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,263	165,403	202,666

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	131,194	78,284
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(79,927)	(69,777)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**51,267**	**8,507**
გადახდილი პროცენტი	(439)	(1,914)
საპროცენტო შემოსავალი	343	1,407
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**51,171**	**8,000**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(10,542)	(6,052)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(10,542)**	**(6,052)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	17,539
სესხების გადახდა	(15,629)	(36,667)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(15,629)**	**(19,128)**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**25,000**	**(17,180)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,934	38,031
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე	(526)	(3,917)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**41,408**	**16,934**

საქაერონავიგაცია

სექტემბერი 2023 - © საქართველოს საერნაოსნო მომსახურების პროვაიდერი საწარმო (შპს „საქაერონავიგაცია“)

წინამდებარე ანგარიში გამოქვეყნებულია შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ საინფორმაციო მიზნებისთვის. ანგარიშის გამოყენება შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად, იმ პირობით, რომ წყაროდ მითითებული იქნება შპს „საქაერონავიგაცია“ და არ მოხდება ანგარიშის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის (მაგ. ფინანსური მოგებისთვის). დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება შეიცვალოს შპს „საქაერონავიგაციის“ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

WWW.AIRNAV.GE